

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა ქართული ლიტერატურა

ქათამაძე ქეთევანი

გიორგი გამყრელიძისა და გიორგი ყიფიანის პოეზია პარიზში
გამომავალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე

ნაშრომი შესრულებულია ქართული ლიტერატურის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: რუსუდან ნიშნიანიძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

ანოტაცია

წარმოდგენილი ნაშრომი - „გიორგი გამყრელიძისა და გიორგი ყიფიანის პოეზია პარიზში გამომავალ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე“ - მიზნად ისახავს:

1. შევისწავლოთ ისტორიული, სამეცნიერო და ლიტერატურული კრებული „ბედი ქართლისას“ ლიტერატურული ნაწილი და გამოვყოთ პოეტური ტექსტები.

2. ამოვკრიბოთ გიორგი გამყრელიძისა და გიორგი ყიფიანის პოეტური მემკვიდრეობა;

3. ვიკვლიოთ თითოეული ლექსის დაწერის თარიღი, შევადაროთ კრებულში დაბეჭდილი ლექსები წიგნებში შესულ პოეტურ ტექსტებს და შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვიმსჯელოთ ვარიანტებზე.

4. აღმოვაჩინოთ პოეტურ კრებულს გარეთ დარჩენილი ტექსტები და გავაცნოთ საზოგადოებას.

ნაშრომის პირველი თავი მოიცავს გიორგი გამყრელიძის ლიტერატურული მემკვიდრეობის ანალიზს. „ბედი ქართლისას“ ფურცლებიდან ამოკრებილი თითოეული ლექსის ისტორიას: დაწერის დროს, რომელ პოეტურ კრებულში დაიბეჭდა, აქვს თუ არა ვარიანტები და შევიდა თუ არა წიგნში.

ნაშრომის მეორე თავში განხილულია გიორგი ყიფიანის შემოქმედება „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდილი ლექსების მიხედვით. თითოეული შედარებულია მწერლის პოეტურ კრებულებში შესულ ლექსებს და ნაპოვნია ვარიანტები, ასევე, წიგნებს გარეთ დარჩენილი პოეტური ტექსტები.

დეტალურმა კვლევამ გვაჩვენა, რომ გ. გამყრელიძისა და გ. ყიფიანის შემოქმედება მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში განიხილება. მათი ლიტერატურული გემოვნება ემიგრაციაში ყოფნისას დაიხვეწა.

ესაა ერთ-ერთი პირველი სამეცნიერო ნაშრომი, რომელშიც დანვრილებითაა შესწავლილი ისტორიული, სამეცნიერო და ლიტერატურული კრებული „ბედი ქართლისას“ პოეტური ნაწილი. კერძოდ, გიორგი გამყრელიძისა და გიორგი ყიფიანის „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდილი ყველა პოეტური ტექსტი, მათი დანვრილებითი ანალიზი და თითოეულზე აქამდე შექმნილი სამეცნიერო კრიტიკა.

ნაშრომში გამოყენებულია აღწერითი კვლევისა და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I.....	12
გიორგი გამყრელიძის პოეზია „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე.....	12
თავი II.....	34
გიორგი ყიფიანის პოეზია „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე.....	34
დასკვნა.....	54
გამოყენებული ლიტერატურა.....	56

შესავალი

„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს“ [ათაქიძე ა, 2015: 166]. 1918 წელს საქართველომ ნანატრი თავისუფლება მიიღო და მთელი თავისი ენერჯია ეროვნული თუ პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობას დაახარჯა. შინა არეულობებმა, მსოფლიო პოლიტიკურმა სიტუაციებმა, ჩვენმა შეცდომებმა თუ ბედის გარდაუვალობამ ქვეყნის დამოუკიდებლობას საფუძველი მალევე გამოაცალა და 1921 წლის 25 თებერვალს, როგორც კოლაუ ნადირაძე წერდა:

„წითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით,
შემოდოდა სიკვდილი ცელით!“

საქართველოს მთვარობა იძულებული იყო გაეცეულიყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თავისუფალი აზრის გამოხატვა შეიზღუდა. საბჭოთა სისტემა აკონტროლებდა ქვეყანაში არსებულ პროპაგანდისტულ საშუალებებს. ზენოლა გააძლიერეს მწერლებზე, პერიოდული გამოცემების რედაქტორებსა და, უბრალოდ, ადამიანებზე, რომლებიც ამ დაქუცმაცებულ საზოგადოებაში ერთიანი აზრის შექმნას ცდილობდნენ. დადგა 1924 წელიც, ხალხი იმედით შესცქეროდა ეროვნულაჯანყებას, ბევრისთვის ეს უკანასკნელი გაბრძოლებაც იყო, ზოგმა წინასწარვე იცოდა მისი კრახი. აჯანყების ჩახშობის შემდეგ, 1926 წელს მწერალთა პირველი ყრილობის დროც დადგა. ყრილობა 100 დელეგატით ხსნის სხდომას. ესწრება ყველა მწერალი, როგორც ნიკოლო მინიშვილი იტყვის, „ვინც მწერლად ითვლება ამ სიტყვის ჭეშმარიტი, თუ სარეგისტრაციო მნიშვნელობით“ [ნიშნინაძე რ, 2000: 4] ამ საბედისწერო ყრილობაზე გაისმის პირველი მუქარა მწერლების მიმართ. ხელოვან ადამიანებს ულტიმატუმს უყენებენ. მათ უნდა წერონ

ხალხისთვის გასაგებ ენაზე და არა მარტო გასაგებ ენაზე, არამედ საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდაც. სწორედ ამ მოთხოვნაზე პასუხობს გამსახურდია - „*მე ჯიბეში კამერტონს არ ვატარებ, რომ ყოველი კაცისათვის ექსტრა ტონი ავიღო. მე ისე ვლაპარაკობ, როგორც საქმე მოითხოვს.*“ [ნიშნაიანიძე რ, 2000: 15] მუქარა არ შეწყვეტილა ყრილობის სხდომის დასრულებით. ბევრი მწერალი ვერ ეგუებოდა ბედს და ვერ იღებდა საბედისწერო გადაწყვეტილებას, მაგრამ ბევრიც იძულებული გახდა დაეტოვებინა სამშობლო და ევროპის სხვადასხვა ქვეყანას შეეხიზნებოდა. მათი წასვლა ქვეყნიდან, რა თქმა უნდა, არ უკავშირდებოდა პირად კეთილდღეობას, ისინი სიცოცხლის გადასარჩენად თავიანთი ნების საწინააღმდეგოდ ტოვებენ საკუთარ სამშობლოს და თავს აფარებდნენ „უცხოეთის ცის ქვეშ“.

ისტორიულმა სინამდვილემ ბევრჯერ დააყენა ქართველობა მასობრივი ემიგრაციის წინაშე. პირველი ფაქტი მეფე-პოეტ არჩილისა და ქართული ინტელიგენციის რუსეთში გახიზვნა იყო, XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში. მეორე - ვახტანგ მეექვსისა და მთელი ქართული ინტელექტუალური ელიტის გადასახლება, 1724 წელს. 1801 წლის მანიფესტს ბაგრატიონთა ერთი ნაწილის რუსეთში გადასახლება მოჰყვას. შემდეგი - 1921 წლის ტრაგედია, 1924 წლის აჯანყება და საბჭოთა რეჟიმი, რომელსაც ემიგრაციაში წასული მწერლები გადაურჩნენ, მაგრამ ქვეყანაში დარჩენილთ „1937 წელი“ მოუწყვეს.

1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ დაპატიმრებულთა სიაში ეწერა სოციალ დემოკრატიული პარტიის წევრი, კალისტრატე სალიაც. 1922 წელს, მეტეხის ციხეში დატუსაღებულ 62 პოლიტიკურ პატიმართან ერთად, კალე სალია გერმანიაში გადაასახლეს. იბლიანს ვერ ვუწოდებთ ქვეყნიდან გადასახლებულ პოლიტიკურ პატიმარს, თუმცა ამ გადასახლების შემდეგ კალისტრატეს ბედის ბორბალი ბევრჯერ მოტრიალდა წაღმა. ისწავლა ქ. ჰალეს უნივერსიტეტის იურიდიულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1924 წელს საცხოვრებლად

გადავიდა პარიზში. ჩააბარა სორბონის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1927 წელს წარმატებით დაიცვა ბაკალავრის დიპლომი. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან. კალისტრატე სალია აქტიურად თანამშრომლობდა ემიგრანტულ პრესასთან. საფრანგეთშივე გაიცნო პროფესიით ექიმი, ასევე, ისტორიის განხრით ვარშავის უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ნინო ქურციკაშვილი, რომელთანაც ქორწინება ბედნიერი აღმოჩნდა.

XX ს-ის 30-იან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მეცნიერთა რიცხვი. სალიების მოწაფეთა შორის ბევრი გახდა ქართველოლოგი. ევროპაში ქართველოლოგიის დარგისადმი ინტერესი განსაკუთრებით მას შემდეგ გაძლიერდა, რაც აკადემიკოსმა ნიკო მარმა აღმოაჩინა ისეთი ლიტერატურული ძეგლები, რომლებიც ბიზანტიურ მწერლობაში დაკარგულად ითვლებოდა და ქართულ თარგმანებში იყო შემონახული. საჭირო გახდა მსოფლიოსათვის კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლიანად გაცნობა, რაც 30-იანი წლების მეორე ნახევარში ინგლისურ ენაზე ლონდონში გამომავალმა ბეჭდურმა ორგანომ "გეორგიკამ" ითავა, მაგრამ მისი გამოცემა მეორე მსოფლიო ომმა შეაჩერა. 1948 წელს კალისტრატე და ნინო სალიებმა საკუთარი სახსრებით, ასევე, საფრანგეთის ეროვნული სამეცნიერო ცენტრის ფინანსური დახმარებითა და ნებართვით დააარსეს სამეცნიერო და ისტორიულ-ლიტერატურული კრებული "ბედი ქართლისა". თავდაპირველად კრებული მცირე მოცულობის იყო, წელიწადში 4-ჯერ გამოდიოდა ქართულ ენაზე, ემსახურებოდა ვიწრო წრეს, ჟურნალის რედაქცია განთავსებული იყო სალიების ბინაში. 1958 წლიდან კრებულს ეწოდა "ბედი ქართლისა – რევიუ დე ქართველოლოჟი" ("ბედი ქართლისა – ქართველოლოგიური მიმოხილვა"). იგი გაფართოვდა მოცულობითაც. მასში სტატიები იბეჭდებოდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე, ზოგჯერ

იტალიურადაც. უურნალი შეუფერხებლად გამოდიოდა 1984 წლამდე (1964 წელს შეწყდა ქართულენოვანი "ბედი ქართლისას" გამოცემა, 1984 წელს კი – კალისტრატე სალიას ავადმყოფობის გამო, ფრანგულენოვანისა). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ კალისტრატე იყო კრებულის სული და გული, რედაქტორი და კორექტორიც კი, ხოლო მეუღლესთან ერთად – გამომცემელიც.

„ბედი ქართლისაში“ სხვადასხვა დროს სტატიებს ბეჭდავდნენ ისეთი ცნობილი უცხოელი ქათველოლოგები, როგორებიცა იყვნენ: იულიუს ასფალგი, იოსებ მოლიტორი, კარლ ჰოსტერ შმიდტი, ჟორჟ დუმეზილი, რენე ლაფინი, ჟან-პიერ მაე, ფრანსუა გრაფენი, ივეტ გრომი, ბერნარ უტიე, ნიკოლ ტიერი, ჟენარ გარიტი, მიშელ ვან ესბროკი, დევიდ ლანგი, ჰანს ფოგქტი, ლაიოშ ტარდი, გერტრუდ პეჩი.

ამავე დროს, „ბედი ქართლისას“ ფურცლებს სტუმრობდნენ ქართველი მეცნიერები და მათი ნაშრომები. ესენი გახლდნენ: კ. კეკელიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი, ირ. აბაშიძე, თ. გამყრელიძე, გ. ჩუბინაშვილი, არნ. ჩიქობავა, ალ. ბარამიძე, ს.ჭიქია, შ. ძიძიგური, გ. ჯიბლაძე შ. ამირანაშვილი, ელ. მეტრეველი, ე. ლომთათიძე, ვ. ბერიძე, კ. წერეთელი, ა. აფაქიძე, გ.ჩიტაია, ს. ცაიშვილი, ვ. ბარდაველიძე, მ. ჩიქოვანი, ი. ტაბალუა, ი. მეგრელიძე, ალ. ლლონტი და სხვანი.

„ბედი ქართლისა“ ერთადერთი სამეცნიერო-ქათველოლოგიური გამოცემა იყო უცხოეთში. ამ კრებულმა ბევრი ემიგრანტის გულისტკივილი, წუხილი, დარდი და შთაბეჭდილება მიიტანა მკითხველამდე. იბეჭდებოდა გრიგოლ რობაქიძის საინტერესო „საუბრები კარდუსთან“, „ბედი ქართლისას“ ფურცლებიდან გავიცანით „იმამ შამილ“ , „ბედი ქართლისამ“ გაგვაცნო გიორგი გამყრელიძის, გიორგი ყიფიანის, გიორგი ლოლუას, მიხეილ დადიანის, ლ. ქიმერიძის, ალ. დარეჯანაშვილის, შ. ვარდიძის, მ. მეგობრიშვილის, მელიტონ ულენტის, ნინო სალიას, ტიტე ჩხეიძისა და სხვათა შემოქმედება. „სალიეები ისეთივე დიდსა და კეთილშობილ საქმეს აკეთებენ ქართულ მეცნიერებისა და კულტურისათვის, როგორც ათონისა და სინას მთაზე მოღვაწე ძველი

ქართული მწერლობის ბურჯები აკეთებდნენ ჩვენი ეროვნული კულტურისათვის,“ -ასე აფასებდა მათ საქმიანობას ცნობილი მწერალი გრიგოლ აბაშიძე [შარაძე გ, 1991: 452].

თემის აქტუალობა -ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ საქართველოს შესახებ მსოფლიომ ამ კრებულიდან გაიგო, თუმცა ჩვენი კულტურის, მეცნიერებისა და ლიტერატურის შესახებ XX საუკუნეში სერიოზული ინფორმაცია გაავრცელა. კრებულმა გაზარდა ქვეყნისა და მისი მეცნიერების ცნობადობა. სტატიების კითხვა სამ ენაზე იყო შესაძლებელი, რაც ევროპის წამყვანი ქვეყნებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ნიშნავდა. კრებულის საფუძვლიანი შესწავლა გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ, რა ტიპის ლიტერატურა იბეჭდებოდა მასში. რას სთავაზობდნენ რედაქტორები უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს და რას აწვდიდნენ უცხოელ მკითხველს. უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) დაბეჭდილია ძირითადად სამეცნიერო სტატიები, იშვიათად, თუმცა ვხვდებით ლიტერატურულ ტექსტებსაც. არის თარგმანებიც: ტიცინან ტაბიძისა და გალაკტიონის ლექსები,რობაქიძის ორიგინალური ლიტერატურა. ის ფაქტი, რომ ფრანგ მკითხველს მოდერნისტულ ლიტერატურას სთავაზობდნენ, უკვე ნიშნავს, რომ ქართულ ლიტერატურას შეუძლია თავისი კუთნილი ადგილი ჰქონდეს იმდროინდელ მსოფლიო ლიტერატურაში. გარდა ამისა, აქტიურად ქვეყნდება ინფორმაცია შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლხედველობის შესახებ. საინტერესოა ქართველი ენათმეცნიერების სტატიებიც, რომლებიც ქართული ენის ზოგიერთ საკითხს ეხება. აქ არ არის მხოლოდ ქართველი მეცნიერების მოსაზრებები. იბეჭდება უცხოელი ქართველოლოგების სტატიებიც ქართულ ენასა და ლიტერატურაზე.

თავისთავად ცხადია, კვლევა ქართული კრებულისა, რომელიც გამოდის პარიზში, უდიდეს როლს თამაშობს ქართული კულტურის წარმოჩინების საქმეში. აქტუალურია ემიგრანტი პოეტების სათქმელიც, რომელიც, ძირითად შემთხვევაში, პატრიოტული ქვეტექსტის მატარებელია. ეს ლიტერატურული ტექსტები ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის

განუყოფელი ნაწილია და მათი კვლევა მნიშვნელოვანია. კრიტიკულ ლიტერატურაში მათ უნდა ჰქონდეთ ადგილი. განხილვა ამ ტექსტების, მათი შინაარსებისა და დაწერის მოტივების, მისი ავტორების ცხოვრების დეტალების მოძიება და ქართულ მკითხველამდე მოტანა, მათი შემოქმედებისა და საქმიანობის პოპულარიზაცია და ცნობადობის გაზრდა ქართულ საზოგადოებაში თემას აქტუალურსა და საინტერესოს ხდის.

სიახლე - აქამდე არც ერთი კვლევა არ მიძღვნია „ბედი ქართლისას“ და მასში მოთავსებული ლიტერატურული ტექსტების მეცნიერულ ანალიზსა და შეფასებას. ემიგრანტულ ლიტერატურაზე კვლევებს ძირითადად ვხვდებით: გურამ შარაძის, რუსუდან ნიშნიანიძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, პაატა ნაცვლიშვილის, ირინე ინანიშვილისა და სხვათა ნაშრომებში, მათთან საუბარია ემიგრანტულ ქართულ ლიტერატურაზე. ბუნებრივია, ზოგიერთი ლიტერატურული ტექსტი მათ უკვე დამუშავებული და შეფასებული აქვთ, თუმცა „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე არის ისეთი პოეტური ტექსტები, რომლებიც ჯერ შეფასებული არ არის და შევეცდებით საზოგადოებას ახალი ინფორმაცია მივანოდოთ. სიახლეა ისიც, რომ პოეტური ტექსტები უნდა ვიკვლიოთ არა მხოლოდ კრებულში დაბეჭდილი მასალის საფუძველზე, არამედ - პოეტურ კრებულებშიც და ზოგიერთ შემთხვევაში განვიხილოთ ვარიანტებიც, რომლებიც ავტორის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას გვაძლევს. საინტერესოა კრებულებს გარეთ დარჩენილი პოეტური ტექსტებიც, რომლებსაც მკითხველი მხოლოდ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე ეცნობა.

ნაშრომის მიზანია შევისწავლოთ ყველა ლიტერატურული ტექსტი, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში, ამ ტექსტებიდან განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ გიორგი გამყრელიძისა და გიორგი ყიფიანის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, შევისწავლოთ ეს ტექსტები მათივე კრებულებზე დაყრდნობით, ვეძებთ ვარიანტებისა და წელთა სხვაობის მიზეზი, ვიკვლიოთ კრიტიკული ლიტერატურა ამ ავტორებსა და,

რამდენადაც შესაძლებელი იქნება, ტექსტების შესახებ. შევთავაზოთ მკითხველს ამ ავტორების მიერ ჟურნალში დაბეჭდილი თითოეული ლექსის ანალიზი და ლიტერატურული შეფასება, ხაზი გავუსვათ „ბედი ქართლისას“ არსებობის მნიშვნელობას ემიგრანტ ქართველთა წრეში და კრებულზე მომუშავე ადამიანების ღვაწლის სწორ და სამართლიან დაფასებასა და შეფასებას.

ამოცანები - ჟურნალის ყოველი ნომრის კვლევა საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ სამეცნიერო, ისტორიული და ლიტერატურული ტექსტები. კვლევის ობიექტი პოეტური ტექსტებია და, კონკრეტულად, გიორგი ყიფიანი და გიორგი გამყრელიძის პოეტური ტექსტები. მათი გამორჩევა და აღრიცხვა დაგვეხმარება მოვიძიოთ ლიტერატურა ამ პოეტების შემოქმედების შესახებ. მოძიებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, შევძლებთ სწორად შევაფასოთ მათი შემოქმედება და ადგილი მრავალსაუკუნოვან ქართულ ლიტერატურულ პროცესში.

თავი I

გიორგი გამყრელიძის პოეზია “ბედი ქართლისას” ფურცლებზე

1957 წელი, რადიო „ამერიკის ხმის“ პირდაპირ ეთერში გიორგი გამყრელიძე საუბრობს, უმთავრესად ქართული ლიტერატურის შესახებ, უყვება ამერიკელ და არა მარტო ამერიკელ მსმენელს. პროფესიით ინჟინერს, ხელოვნებათმცოდნესა და მწერალს კარგად გამოსდის საუბარი მსმენელთან. ფართო მასებისთვის ის ცნობილი უურნალ „ცისფერი ყანწების“ დროს გახდა, მეგობრობდა ცისფერყანწელებთან და ამ მეგობრობამ შესაბამისი საფუძველი მოუზადა მის საერთაშორისო წარმატებას. პაოლო იაშვითან ნათესაურმა კავშირმა ადრიდანვე დააახლოვა ადამიანებთან, რომლებმაც გარკვეულწილად შექმნეს მისი პოეტური გემოვნება. იბეჭდებოდა „მეოცნებე ნიამორებში.“ გიმნაზიაში სწავლის დროს დააარსა უურნალი „ბაღდადის წეროები“. გამყრელიძის ბიოგრაფიიდან ერთ-ერთი საამაყო მოვლენა შეიძლება იყოს „პოეტების მეფის“ არჩევასთან დაკავშირებული ისტორია. გიორგი (გუგული) ერთ-ერთი ხელმომწერია გალაკტიონის მეფედ არჩევის დოკუმენტზე. ეს საბუთი გუგულის არქივში ყოფილა დაცული. [ნიკოლეიშვილი ა, 2006: 488] რაოდენ სახელმომხვეჭილი იყო 18

წლის გიორგი გამყრელიძე, ეს საპატიო მისია რომ დაეკისრა. ფაქტის სიზუსტეს ადასტურებს მისი შემდეგი სიტყვები:

„მე მაშინ ვიყავ ახალგაზრდა თვრამეტი წლისა,
და „თავის ქალა არტისტული ყვავილებიდან“
როს წავიკითხე - ცა მეშვიდე გაიხსნა ჩემთვის
და დავინახე მოკიაფე იაგუნდები.

ამიტომ იყო, მივაღეჭი იმ დღეს შენს კარსა,

სადაც წელიწადი მოდიოდნენ სხვა პოეტებიც.“ (პოეტების მეფე)

ჭიათურის რაიონის სოფელ ზოდში დაბადებულ გიორგი გამყრელიძეს (1903-1975), აქვს სახსრები იმისათვის, რომ ჯერ გერმანიაში გაემგზავროს უმაღლესი განათლების მისაღებად, შემდეგ ამერიკაში - ვაშინგტონში იღებს ხარისხს ხელოვნებათმცოდნეობაში. სხვადასხვა დროს ცხოვრობდა ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიასა და ამერიკაში, 1957 წლიდან კი - ამერიკაში, ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში იწყებს მუშაობას, აღმოსავლური მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში. ემიგრაციაში ყოფნის დროს დაუახლოვდა ქართველთა სათვისტომოს უცხოეთში. მიმოწერა ჰქონდა გრიგოლ რობაქიძესთან, კიტა ჩხენკელთან, მიხეილ წერეთელთან, ვიკტორ ნოზაძესთან, გიორგი ყიფიანთან, ნინო და კალისტრატე სალიებთან. მათთან მეგობრული დამოკიდებულების გამო, მისი შემოქმედება კრებულ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზეც ხშირად ხვდებოდა.

მისი ლექსების პირველი წიგნი გამოიცა 1920 წელს, „შემოდგომის ჭიანურები“, 1922 წელს, გრიგოლ ზოდელის ფსევდონიმით გამოსცემს კრებულს „დალურსმული ხელები“, შემდეგი პოეტური კრებული გამოდის პარიზში 1932 წელს - „ლურჯი მონოკლი“, „გვიანი რთველი“ კი სანტიაგო დე ჩილეში, 1960 წელს დაიბეჭდა. „ვიკტორ ნოზაძემ გამოსცა ჩემი ლექსების კრებული. ჩემთვის არ უკითხავს და ბევრი სუსტი ლექსი შეუტანია, შორიდან ხმის მიწვდენა ძნელია, ის სანტიაგოში ცხოვრობს . ახლა მინდა, თუ

მოვახერხე, აქ ერთი რაჭველი კაცი ცხოვრობს- გივი კობახიძე, დიდი კუთხური პატრიოტი რაჭისა. ის მპირდება ჩემი ლექსების კრებულის გამოცემას,“ იხსენებს გრიგოლი სიძესთან, აკაკი ბელიაშვილთან, საუბრისას. [ბელიაშვილი ა, 2015: 114] 1963 წელს გამოსცა ბოლო პოეტური კრებული „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“.

გიორგი გამყრელიძემ იცოდა რუსული, გერმანული, ფრანგული, ჩეხური და ინგლისური ენები, ამიტომ შესაძლებლობა ჰქონდა ლიტერატურას ორიგინალში გაცნობოდა. ის ცდილობდა ქართულად ეთარგმნა ზოგიერთი ცნობილი და საინტერესო ტექსტი. თარგმანებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გოეთეს „ფაუსტი“ (გურამ შარაძე ფიქრობდა, რომ ტექსტის დიდი ნაწილი პოეტს ნათარგმნი აქვს), ასევე - გოეთეს „ველის ვარდი“, შილერის „ხელთათმანი“, ჰაინეს „ლორელია“, ჰერმან ჰესეს „ჯუჯა“, ჯ. კილმერის „ხეები“, ედგარ ალან პოს „ყორანი“, რობერტ ფროსტის „შეჩერება ტყეში თოვლიან საღამოთი“, და „სილის ბორცვები“, კ. სენდბერგის „ნისლი“, პოლ ვერლენის „დაისი“, არტურ რემბოს „ძველი კარადა“, შარლ ბოდლერის „შემოდგომის სიმღერა“. პოეტის პირად კრებულებთან ერთად, თარგმანების ეს სია შთაბეჭდილებას გვიქმნის მისი დახვეწილი გემოვნებისა და ნიჭის შესახებ. ცნობილია ისიც, რომ თარგმნისას გამყრელიძე მწერლის მდიდარი ლექსიკის, მხატვრული ფორმების გადმონერგვას ცდილობდა, გადმონერგვას ჩვენს ენასა და მისსავე ლიტერატურაში. პოეტის უკანასკნელი ლექსების შედარება მისსავე ადრინდელ ლექსებთან ცხადყოფს მის პოეტურ დახელოვნებას.

გიორგი გამყრელიძე სამშობლოდან 1923 წელს სასწავლებლად გაემგზავრა. ბედმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში აცხოვრა და დაბრუნება ვერ შეძლო. 1975 წლის 19 მაისს გერმანიაში, მიუნხენში გარდაიცვალა. გიორგი ყიფიანი, ლექსს უძღვნის გარდაცვლილ მეგობარს. [ყიფიანი, 1981: 42]

„უკვე დამაჭრდა გულში ტკივილი,

ცრემლებმა უნდა შესვას ზედაში,
ნუთუ განშორდი შაირთა შრიალს,
რომ მიმარხულხარ მაღალ ზენაში...“

სამშობლოსგან სიშორემ ხელი ვერ შეუშალა მისი ლექსების გავრცელებას. პირველი ორი კრებული „შემოდგომის ჭიანურები“ და „დალურსმული ხელები“ საქართველოში გამოიცა, თუმცა ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ამ პოეტურ ტექსტებს კიდევ ბევრი შეემატა. უდავოდ ნიჭიერ მწერალს, „ბედი ქართლისას“ ფურცლებს უთმობს კალისტრატე სალია. გიორგი გამყრელიძეს თოთხმეტი პოეტური ტექსტი აქვს გამოქვეყნებული კრებულში „ბედი ქართლისა“. ეს ლექსებია: „პაოლო იაშვილის ხსოვნას“, „ჩვენი მხარე“, „გრიგოლ რობაქიძეს“, „სიმრები“, „გასვენება შემოდგომით“, „დალი და დიანა“, „ძველი ბარათი“, „მწუხრის ზარის დროს“, „ზღაპარი ტფილისზე“, „საჩხერის ღამე“, „ყველა სიმღერებს მირჩვენია“, „26 მაისი“, „მოგზაურის ოცნება“, „ძველი სიმღერა“.

კრებულში, პოეტურ ნაწილში, ყველაზე ხშირად გამყრელიძე და ყიფიანი გვხვდება. ამ პოეტების შემოქმედების ასეთი მრავალფეროვნებით წარმოდგენა უკვე ნიშნავს მათ პოპულარობას ემიგრანტულ ქართულ მწერლობაში. „ლურჯი მონოკლი“, „გვიანი რთველი“ „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“ - სწორედ ეს კრებულები აერთიანებს „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე ამოკითხულ ლექსებს. ლექსებს, რომლებსაც არაერთმა მკითხველმა დადებითი შეფასება მისცა. განსაკუთრებით საინტერესოა კრებულის მე-14 ნომერში დასტამბული გრიგოლ რობაქიძის წერილი „დღიურიდან“. რობაქიძე აფასებს ლექსს „ძველი სიმღერა“ და გიორგი გამყრელიძის შესახებ წერს: *„გიორგი გამყრელიძე ცნობილია ქართულ ემიგრაციაში. იგი ნათესავია პაოლო იაშვილის: არა მარტო სისხლით - მკონური გზებითაც, ხოლო ამ გზებაში იგი თავისებურია: მას აქვს საკუთარი ლირიული ხმა“* [რობაქიძე ვრ, 1953: 22]

ჩვენ ცალკე განვიხილავთ თითოეულ პოეტურ ტექსტს, რომელიც „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე იკითხება, თუმცა მანამდე, ასევე, გრიგოლ რობაქიძის წერილს მოვიხმობთ, რომელშიც მწერალი ვიკტორ ნობადის მიერ სანტიაგო დე ჩილეში გამოსულ კრებულს აფასებს. „ბედი ქართლისა“-ში (N, 14, მარტი, 1953) ორი შაირი განვიხილეთ: ერთი გიორგი გამყრელიძისა, მეორე - გიორგი ლოლუასი. ორივე შევაქეწერილში პოეტური თვისებაც მოვხაზე პირველი შაირის ავტორისა. ლოლუას მის შემდეგ არა გამოუქვეყნებია რა. სამწუხარო იქნება, თუ ხელი აიღო მწერლობაზე. გამყრელიძე კი მწერლობას განაგრძობდა „ბედი ქართლისაში“. შარშანწინ ზაფხულს გამოვიდა მისი „გვიანი რთველი“: შაირთა წიგნი. თუ ერთს შაირს ავტორისა შევეხე, მით უფრო მმართველს წიგნს შევეხო მისსა.“ [რობაქიძე გრ, 1962: 59]

რობაქიძემ საუკეთესო შაირებად შემდეგი ლექსები მიიჩნია: „ძველი სიმღერა“, „საჩხერის ღამე“, „ყველა სიმღერას მირჩევნია“, „ოცნება რთველზე“, „თამარის დროშა“, „გასვენება შემოდგომით“, „პაოლო იაშვილის ხსოვნას“, „სიმონიკა ბერეჟიანის ხსოვნას“ და სპეციალურად გამოტოვა მისადმი მიძღვნილი ლექსი. უმეტესობას ამ ლექსებიდან საზოგადოება იცნობდა „ბედი ქართლისას“ ფურცლებიდან. რობაქიძეს არ ავიწყდება ჯანსაღი კრიტიკა და შენიშვნის სახით ამბობს, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც, პოეტი ხარკს უხდის პოეზიის მტერს, რიტორიკას. მიუხედავად ამისა, პოეტის კრებული იმსახურებს მკითხველის აღფრთოვანებასა და მოწონებას.

ემიგრაციაში გიორგი გამყრელიძის პირველი კრებული „ლურჯი მონოკლია.“ ამ კრებულში შესულია ლექსები : „ოქროს ვერძი“, „ნაპარტახალი“, „დედას“, „ღამეა ბნელი“, „შემოდგომა იმერეთში“, „ვრცელი ქალაქი“, „ლურჯი მონოკლი“, „როსინანტი“...

მეორე პოეტური კრებული „გვიანი რთველია“, წიგნს ქართული ვაზისა და ჩუქურთმების ნახატები ამშვენებს, შეიძლება ითქვას, ეს კრებული ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია სამშობლოს სიყვარულის, მონატრებისა და პატივისცემისა.

სამშობლოდან გადახვეწილი ემიგრანტი სხვაგვარი სინატიფით, ალბათ, ვერ შეძლებდა უცხო ქვეყნიდან პატივი ეცა სამშობლოს ტრადიციებისათვის. ამ კრებულში დაიბეჭდა 1946 წლით დათარიღებული ლექსი: „პაოლო იაშვილის ხსოვნას“.

„შენ მოგეწყინა შექსპირი და ყვითელი დანტე,“

პირველივე სტრიქონი გვგახსენებს პაოლოს ცნობილ ლექსს „ყვითელი დანტე“:

„პაოლო იაშვილს - მომეწყინა ყვითელი დანტე,

ვაქებდი შექსპირს - მაგრამ ფარდა... შექსპირს უარი!“

გიორგი გამყრელიძე დიდ პატივს სცემს მეგობარს, „ცისფერყანწელთა“ ლიდერს - პაოლოს, უყვარს მისი შემოქმედება, ფიქრობს, რომ ახალი სტილის შემომტანია ქართულ ლიტერატურაში.

„ახალ შაირის ჩირალდანი როცა აანთე“

პოეტი ხაზს უსვამს რუსთაველის დამსახურებას ქართულ მწერლობაში და პაოლო იაშვილის პატივისცემას რუსთაველის შემოქმედებისადმი. „*გ. გამყრელიძე უხვად მოიშველიებს იაშვილისეულ სახეებს: ფარშევანგები, უაილდის ყელსახვევი და ხეტიალი, ხელთათმანები.*“ [ნიშნინიძე რ, 205: 366], გვახსენებს კალოსა და კევრს, სწორ ბათმანს... იმ სინმინდევებს, რომელიც პაოლოსათვის სიმშვიდის ასოციაციას ქმნიდა. გამყრელიძის აზრით, პაოლო იყო შუქურა თავისი თაობის მწერალთათვის:

„იყავ შუქურა

პოეზიის კაშკაშა ცაზე,

შეტრფოდი კნუტებს

და რქა აღმას ღვინია ხარებს.

ლექსები, ღვინო

და მწვადები აღარ გახარებს,-

წახვედი ასე

შხამიან და წამებულ გზაზე.“

პაოლოს გადანწყვეტილება, შეწყვიტა სიცოცხლე, ბევრმა თანამედროვემ გმირობად ჩათვალა. გამყრელიძის სიტყვები, „შხამიანი და წამებული“, ჩვენი აზრით, გამსახურდიას სიტყვებს ემსგავსება, როცა პაოლოს თვითმკვლელობის შესახებ გაიგო. ვაჟკაცი ეგ ყოფილათ - შეუფარავი სევდით თქვა მწერალთა ყრილობის დარბაზში მჯდომმა მწერალმა.

ლექსის ბოლო სტროფში გიორგი გამყრელიძე ჩამოთვლის მწერლებს. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის იმ მწერლებს, რომლებმაც ახალი გასაქანი მისცეს ქართულ ლექსს. გრიგოლ რობაქიძე, ტიცვიან ტაბიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და პაოლო იაშვილი... „პოეტები საქართველოსი“, რომლებიც შეწირნენ რეპრესიებს, რომელთა დანატოვარი სიტყვები, სტრიქონები იმდენად მნიშვნელოვანი და ფასეული იყო, რომ მთავრობამ მათი ლიკვიდაცია გადანწყვიტა. ლექსი აქ მთავრდება, თუმცა მკითხველის გონებაში მაშინვე იქმნება სურათები, როგორ აიძულეს გრიგოლ რობაქიძე, წასულიყო „საკარდუელოდან“, როგორ გადაასახლეს და განირეს ტიცვიან ტაბიძე, როგორ აიძულეს გალაკტიონს თვითმკვლელობა, აღარაფერს ვამბობ მწერალთა კავშირში გასროლილ ტყვიაზე, რომელმაც შეწყვიტა პაოლოს სიცოცხლე.

ჩვენ წინ გვიდევს კვლევისათვის განკუთვნილი სხვადასხვა მასალა: ცალკე კრებული „ბედი ქართლისა“ და, ამის პარალელურად, ყველა ის პოეტური ტექსტი, რომელიც საგანგებოდ მოვიძიეთ არაერთ წიგნში, რათა დაბეჭდვის თარიღები დაგვედგინა. სამეცნიერო მუშაობისათვის მნიშვნელოვანი იყო თვალი მიგვედევნებინა არაერთი ვარიანტის შექმნის პროცესისათვის. ასევე, საინტერესოა იყო კვლევა, რომელი ლექსი აღარ ჩათვალა მწერალმა საჭიროდ შეეტანა პოეტურ კრებულებში. ამიტომ, თითოეული ლექსის განხილვისას ცალ-ცალკე მივუთითებთ იმ თარიღებს, რომლებიც მიწერილი აქვს ლექსებს ბოლოს, რათა მკვლევარებისათვის საინტერესო იყოს ამა თუ იმ ვერსიის არსებობის ფაქტიც.

„ბედი ქართლისაში“ გიორგი გამყრელიძეს სამი მიძღვნილი ხასიათის ლექსი აქვს დაბეჭდილი. ერთია „პაოლო იაშვილის ხსოვნას“, რომელსაც დაწერის თარიღად 1946 წელი აქვს მითითებული, პირველად კი „ბედი ქართლისას“ მე-13 ნომერში გამოიყენა 1952 წელს. ლექსი, როგორც ვთქვით, დაბეჭდილია წიგნში „გვიანი რთველი“ 1960 წელს, შემდეგ კი - 1963 წელს, კრებულში „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“. მეორე მიძღვნა „გრიგოლ რობაქიძეს“ („ორი ფოთოლის“-ს გამო) ეკუთვნის. დაწერის თარიღი კრებულშივე იკითხება - 1953, ლექსი არაა შეტანილი არც ერთ პოეტურ კრებულში. მესამე ლექსი „ბედი ქართლისას“ ერთ-ერთ რედაქტორს, ნინო სალიას ეძღვნება - „მწუხრის ზარის დროს“, რომელსაც ორი თარიღი აქვს: 1954 წელი კრებულ „ბედი ქართლისას“ მე-18 ნომერში და 1956 წელი, პოეტურ კრებულში „გვიანი რთველი“. ფაქტია, „გვიან რთველში“ წელი სპეციალურადაა შეცვლილი. ლექსის ტექსტი უცვლელადაა დაბეჭდილი, სევდიანი განწყობა, უიმედობა, მართობა და ტკივილი, იმედგაცრეებული პოეტი გულის სიღრმეში ნაგრძნობ ნეტარებას ებლაუჭება. იმედს, რომელიც მუქ და შემზარავ წყვილად გაფანტავს.

„თითქოს აინთო , უცებ ხელით სულში სანთელი.

გაქრა ზრახვების და ნდომათა მუქი წყვილიაღი.“

მიუხედავად დიდი იმედგაცრეებისა, პოეტის სულში სიმშვიდე დაისადგურებს. ღვთის ძლიერებაში დარწმუნებული პოეტი მიმართავს მკითხველს:

„ვის ძალუძს გახსნას უფლის ზრახვა და მისი ნება

და რკალი ჯაჭვის - მარადიულ მის განგებაში.“

ლექსის ბოლოს, ავტორი შეგვახსენებს, რომ ღვთის განგება იგრძნობა ამქვეყნად არსებულ ყველა სასწაულში. დაბადება, სიცოცხლე და სიკვდილიც კი ღვთის ნებაა და გარკვეულ მიზანს ემსახურება. იქნება ამ სიტყვებით უნდა ახსნას საკუთარი მწვავე ბედი, იქნებ, სჯერა კიდევ, რომ ღვთის ძალითაა უცხო მინაზე და ოდესმე სამშობლოს მიწას კიდევ იხილავს.

სევდიანი განწყობილებისა კრებულის მე-15 ნომერში დაბეჭდილი ლექსი „გასვენება შემოდგომით“, მეორედ გამოიცა 1960 წლის პოეტურ კრებულში. ჩვეული გაურკვევლობით, წლები ისევ არეულია (კრებულში - 1953 წელი, წიგნში - 1954), არეულია ემოციებიც. 50 წელს გადაცილებული მწერლისთვის სამშობლოს ნოსტალგია დიდ სევდასა და სასოწარკვეთილებაში გადადის. ოჯახსა და ახლობლებს მონატრებული შიშობს, ვაი, თუ ველარ დაბრუნდეს სამშობლოში. ავტორი სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში, გვიხატავს ფუტკრების, ამ უბეჭითვის არსებების მზადებას ზამთრის დიდი ძილისთვის. სკა ემზადება დასასვენებლად, მაგრამ პოეტი ვერ ისვენებს.

„მაღე გატყდება შენი მზერის ნათელი სხივიც...

და სულთათანას გიგალობებს ზუზუნი სკისა,

მოგაგონდება მშობლიური კაშკაში ცისა;

მაგრამ მიგიღებს ყრუ სამარე, უცხო და ცივი.“

გიორგი გამყრელიძის პოეზიას, სამშობლოსაგან შორს ყოფნის გამო, გასდევს ნოსტალგია. ზოგჯერ მისი ფიქრები და სიმრები იმდენად ცხადია, თითქოს, მკითხველი, ხედავ ავტორის მიერ დახატულ პეიზაჟს. ერთი ასეთი ცხადი სურათია ლექსში „ჩვენი მხარე“. პოეტისათვის ნაცნობი მშობლიური პეიზაჟი, აქეთ ყვირილა მორბის კალაპოტში, იქეთ - ჯრუჭულა და მათ თავზე ლურჯი ხასხასა ცაა. დღისით ხომ ასეთი სუფთა და ჰარმონიული გარემოა, საინტერესოა, რა ხდება ღამით, როცა მზე ჩადის და ქვეყანას ბნელეთი მოიცავს, თუმცა პოეტის მახსოვრობაში ღამე მთვარითაა განათებული და მოხუცი მენისქვილე თადეოზა არხეინად იწყებს თევზაობას. ავტორს ყოველთვის ტკბილად და ნათლად ახსენდება თავისი სამშობლო, თუმცა ამ ფიქრების დასასრული ტკბილი არ არის.

„სხვა სურათები, დაირის ხმა, ლხინი, ცეცხლი,

და მოგონებებს სიყვარულით გავეკიდები,

და ვხდები ისევ სევდიანი და უბედური,

თითქოს ჩემს სულსაც შეესივნენ ქერა სკვითები.“

მონატრებისა და უდიდესი სიყვარულის გამოვლინებაა ლექსი „საჩხერის ღამე“ (პოეტისთვის ჩვეული წლების აღრევა ამ ლექსსაც ახლავს. (კრებულში 1955 წლის ნოემბრითაა დათარიღებული, ხოლო პოეტურ კრებულში - 1953 წლით) საჩხერის მშვენებაა „მოდი ნახე“ და მთვარის შუქზე ვერცხლისფრად შეფერილი მისი კედლები, მძინარ დაბაში სიჩუმეს ურმის ჭრიალი არღვევს. ისევ ჩვეული ნოსტალგია და ცრემლი, ნამღერი „სულიკოს“ წარმოდგენისას. ამ მშვენიერი სანახებისგან შორს მყოფი პოეტის გული ვერ იტევს სევდას. ლექსის ბოლოს ავტორის დიდი სურვილია გამჟღავნებული:

„დილო აკაკის მშობელო მხარევ,

იყავ მარადის, მრავალჟამიერ!“

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გიორგი გამყრელიძეს ბევრი ადგილი უნახავს და უცხოვრია. საფრანგეთი, ამერიკა, ჩეხოსლოვაკია - თითოეული მათგანი გამოირჩევა კულტურის მრავალფეროვნებითა და საოცარი სანახაობებით. არც გაჭირვების უღელი სტანჯავდა შორეულ ქვეყანაში. საკმაო სახსრები ჰქონდა და კარგი საცხოვრებელიც, თუმცა სამშობლოს მონატრება და ოჯახისაგან შორს ყოფნა ჩუმ სევდას ბადებდა მის გულში.

„ყველა მდინარეთ: შენ ჯობიხარ, ფაზისის წყალო,

ყველა ლამაზებს: თვალუუუნა ოდიშის ქალო,

ყველა სიმღერებს: მირჩევნია ძველი „ხელხვავი“,

„ერთხელ ვიხილე“ და „გაფრინდი, შავო მერცხალო“

უდიდეს მეგაპოლისში მცხოვრებსაც კი თავისი სამშობლო, მტკვრის სანაპირო და მასზე მოცურავე ტივები ურჩევნია. უყვარს ყველა ის შაირი, რომელიც მტკვარს, თბილისსა და აქაური ქალების მშვენიერებას ადიდებს.

„მტკვრის მძიმე ტალღა აქოჩრილი რძისფერი ქაფით

შეღებავს შფოთით მოხუც მეტეხს და ნარიყალას.“

ესაა პოეტის წარმოდგენის სამყარო, სადაც თავისი „პატარა საქართველო“ აქვს. ისეთი, როგორიც ახსოვს, ისეთი, როგორიც იყო, მხოლოდ ამ სამყაროში საქართველო ფერადი და მშვენიერია.

სამშობლოს მონატრებასა და სიყვარულს ეძღვნება 1947 წელს დაწერილი „ძველი სიმღერა“. ლექსი დაბეჭდილია „ბედი ქართლისას“ მე-19 ნომერში, შესულია 1960 წლის კრებულში „გვიანი რთველი“ და გამეორებულია 1963 წელს კრებულში, „ლექსები, მოთხრობების და ნარკვევები ფრინველებზე“.

ლექსის დასაწყისშივე ლიტერატურული რემინისცენციით გვახსენდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „არაგვი“, მას შემდეგ, რაც ჭალას, მთას, ველსა და ვენახებს გაიხსენებს, წერს:

„ჰოი, ნაპირო, არაგვის პირნო“ - ეს სტრიქონი გასდევს ლექსის ხუთივე სტროფს და ერთგვარად აჯამებს თითოეულის სათქმელს.

დროთა ცვლილება არ მოქმედებს ბუნებაზე. ის ისევ უცვლელია, მიწა მორწყული გმირთა სისხლით. ავტორს მირონს, ვაზის ზედაშეს, ნატრობს. ნატრობს სალამოს, როცა სევდიანი ბარათაშვილი გვიმღერებს „ჰოი, ნაპირო, არაგვის პირნო“.

„ზღაპარი ტფილისზე“ ეძღვნება „ბედი ქართლისას“ მეოცე ნომერს. პირველ გვერდზე, გრიგოლ რობაქიძის მონოდების ქვეშ, ვკითხულობთ ამ სათაურს და ლექსის წაკითხვამდე გვახსენდება თბილისზე შექმნილი არაერთი პოეტური ტექსტი, თუმცა სულ სხვაა ემიგრანტი პოეტის საჩუქარი ემიგრანტთა მიერ გამოცემული კრებულისათვის. ლექსი შეტანილია კრებულში „გვიანი რთველი“ (თარიღით 1954 წ.)

ცნობილი მითი, ყვაფ-ყორნებისაგან დაფლეთილი ამირანი ისევ იკრებს ენერგიას და ძალებს აღიდგენს. ყორანი ამირანის გულს კი არა, პოეტის გულს ფლეთს, გულს, რომელსაც უამრავი ალაგი უნახავს ქვეყნად, თუმცა - ისეთი ლამაზი ვერსად, როგორიც არის თბილისი.

„ცხოვრობდა ერთხელ მგზავრი საწყალი

მოხეტიალე ვინმე პოეტი.

ნახა მრავალი მან მიწაწყალი

.....

მაგრამ ვერ ჰპოვა ვერსად ქალაქი

ისე ლამაზი: როგორც ტფილისი.“

პოეტისთვის არაფერია ისეთი ძვირფასი, როგორც მშობლიური მიწის მადლი. გიორგი გამყრელიძე პატრიოტული სუბიექტურობით ამბობს:

„შენ გენაცვალოს ქალაქი ყველა;

ჯობიხარ, რიოს, ვაშინგტონს, პარიზს,“-

მრავლისმნახველ და უძველეს ქალაქს ბევრი აქვს საამაყო. სხვა რომ არაფერი მთაწმინდა იცავს, მაშინ როცა მტკვარი სასიამოვნოდ მიედინება კალაპოტში. ეს ჰარმონიულობა დაცულობისა და კომფორტის შეგრძობას ბადებს. საამაყო მხოლოდ მთაწმინდა როდია. აქვია ჩვენი სახელოვანი პოეტები: შოთა, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ხოლო ღამით, მძინარე თბილისის სახელოვანი წარსულიდან ხედავს სიზმრებს. დავითი და თამარი - ოქროს ეპოქა საქართველოსთვის. ასეთი ისტორიის მქონეს, ასეთი ძლიერი კულტურის შვილს რას დააკლებს ყორნის კლანჭები?! რასაკვირველია, გული მაინც არ კვდება.

„გვიანი რთველის“ ფურცლებზე ვკითხულობთ 1938 წლით დათარიღებულ ლექსს “ძველი ბარათი ანუ წერილი დედას“. პირველად ლექსი მკითხველმა „ბედი ქართლისას“ მე-18 ნომერიდან გაიხსნო. არ გადავაჭარბებთ, თუ მას შევაფასებთ ერთ-ერთ საუკეთესო პოეტის შემოქმედებაში. სანამ უშუალოდ ლექსის განხილვას შევუდგებით, გავიხსენებ აკაკი ბელიაშვილის „ამერიკაში პარიზზე გავლით“. წიგნში ბელიაშვილი ვაშინგტონის დღიურებიდან აღწერს გიორგი გამყრელიძესთან შეხვედრასა და მათი ნაცნობობის დეტალებს. ბელიაშვილი გამყრელიძეს შეხვდა შორეულ ვაშინგტონში, მათი შეხვედრა ემოციური იყო და, რა თქმა უნდა, აკაკი დედის

შესახებ მოუყვა მწერალს. უთხრა, რომ დედის სურვილი იყო შვილს მიეცილებინა სასაფლაომდე, ეს მოვალეობა სიძემ შეასრულა. აკაკიმ ჰკითხა გიორგი გამყრელიძეს, როდის დაუბრუნდებოდა სამშობლოს. ამ სიტყვების მოსმენამ, პოეტი ააქვითინა.

ყოველი დედის სურვილია, ძვირფასი შვილი გვერდით ჰყავდეს და მასზე ზრუნვა შეეძლოს, თუმცა გამყრელიძისთვის დედის უსაფრთხო კალთასთან ყოფნა სიცოცხლისთვის საშიშია, ამიტომ დედა სწერს:

„ჩემი სურვილი:

რომ შენ ერთხელ კიდევ მენახე-

გულის კუნჭულში

სამუდამოდ შენახულია.“

ასევე, ყოველი დედის მოვალეობაა, დაიცვას შვილი მოსალოდნელი საფრთხისაგან, ამიტომ *„დიდი მონატრება, მშობელს რომ გააჩნია, ითრგუნება უფრო დიდი შიშითა და სათხოვარით“* [ნიშნიანიძე რ, 2005: 45]

„ნუ დაბრუნდები,

გეხვეწები, ჩემ სანახავად,-

ჯობს, რომ დავლიო

დღენი ჩემი უმზეოდ, შავად.“

მართალია რეალურად ვერ ახერხებს დედა შვილის ნახვას, თუმცა სიზმარში ყველაფერი შესაძლებელია. სიზმარში ნახულობ იმ გასაოცარ რეალობას, რომელიც ძალიან გინდა ახდეს. გონება ივინყებს დეტალებს, შესაძლებელს ხდის დედა-შვილის შეხვედრას, ოცნებით ნასაზრდოებს. შვილი ბრუნდება, ბრუნდება ცოლთან და შთამომავლობასთან ერთად, აქვეა ყოფილი დეტალებიც: კრუხ-წინილა, მენველი ძროხა. ეს სიზმარი დედის ჩამკვდარ გულს იმედს უსახავს. *„თუმცა მუქი დეტალები ფარულად მაინც ამძიმებს სიზმარს: „ჩამავალი მზე“, „მწუხრის ზარები“ ანუ ფონი საკმაოდ მძიმეა, ის მაინც რეალური განწყობის ანარეკლია, რომელიც არც სიზმარში*

ნაიშალა. პოეტი ხომ ცხადში წერს ამას.“ [ნიშნიანიძე რ, 2005: 48] „ეკლების ხვაფი“, „ყვავთა გუნდები“ ის საფროთხეა, რომელსაც უკვე ფესვები გაუდგამს ქართულ მიწაზე და ავი, ბოროტი მომავალი სიკვდილით ემუქრება სამშობლოდან გადახვეწილ ლირიკულ გმირს. პოეტი შემთხვევით არც სამოცდაათი წლის მოხუც მამას ახსენებს. ამით ხაზს უსვამს „გამწარებულ“ სიბერეს;

„ვით უანგმა რკინა,
კაემანმა გული გამოხრა;
დაბერდა, მოტყდა,
ყავარჯნებით ძლივსლა დადის
და ხშირად მესმის
მისი მძიმე კვნესა და ოხვრა.“

შემზარავია, ლექსის ბოლოს, მიმართვა; „საქართველოში აღარ არის ჩვენი ალაფი.“ ამ, ძველი წერილის ნახვა ლირიკულ გმირში ცუდ ფიქრებს აღძრავს, გული ტკივილით ევსება და რაღა დარჩენია, ტირილის გარდა...

„ოცნება და სინამდვილე“- ასეა დასათაურებული „გვიანი რთველის“ ერთ-ერთი თავი. ამ ნაწილში თავმოყრილია ძირითადად სიზმრისეული, ოცნების დროს წარმოდგენილი, ძნელად ასახდენი სიუჟეტები. ერთ-ერთ გვერდზე ვკითხულობთ სათაურს „სიზმრები“ - ქვეშ მინაწერით - 1929.

ლექსი იმ სევდიანი პათოსით იწყება, რომლითაც ბევრი ემიგრანტი პოეტისა - სამშობლოს მონატრება, ვერშესაძლებელი რეალობა და სიზმარში ახდენილი ოცნება.

„ხშირად დაქანცულს როდესაც მძინავს,
ფერად სიზმრების გაიბმის ძაფი.“

ერთი შეხედვით, სიზმარში აღამიანები თავიანთვის სასურველ რეალობას ხედავენ, თუმცა პოეტის სიზმარი განსხვავებულია, ის ნასაზრდოებია იმ დაძახული ეპოქალური

პრობლემებით, რომელიც ძილშიც კი არ აძლევს მას მოსვენებას, არაცნობიერის დონეზე არყევს მის ფსიქოლოგიას და, საბოლოოდ, პოეტი წერს:

„თუ ნდომა მწველი დღისით ვერ ახდა,
ღამე სიზმრებში მიდედინაცვლებს;
და სინამდვილეს შიშველს და გამხდარს
ჭრელ აბრეშუმის ჩააცმევს საცვლებს.“

„ძლიერი ემოციური ელფერის მექონე მოგონებები ქმნის ასოციაციათა კომპლექსებს, რომლებიც არამარტო ხანგრძლივია, არამედ ძალიან ძლიერი და ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვული.“ [ნიშნიანიძე რ, 2005: 103] პოეტი ხედავს ქაოტურ სურათს: კანადის წყლებს, ჩინეთის ტბებს, ატლასის მთებს, ინდი და ნიაგარაც აქვეა. სიზმარში ნანახ გეოგრაფიულ ადგილებს არანაირი კავშირი არ აქვთ, შესაძლოა, ესაა გზა გაექცეს იმ რეალობას, რომელიც არ სურს დაინახოს. ეს გეოგრაფიული ადგილები : მდინარეები, ზღვები, ჭალები თუ მთები სწრაფად იცვლება და ირევა ერთმანეთში. დრო მოდის, შავმა ყორანმა გაშალოს ფრთები. მაშინ კი - ფერადი სურათები იცვლება და პოეტი ხედავს „სიზმრების მახინჯ სერიას.“ პოეტი თავს ვერ აღწევს უსიამოვნო ემოციებს და გვთავაზობს ძველი კომმარული სურათების ალბომს. (ნიშნიანიძე რ.) როგორია პოეტის კომმარული სურათი? მოხუცი კუზიანი ქალი, ყოვლად დისჰარმონიული გარეგნობა, „ბნელ სათვალეთი, გამიშლის კარტებს“ - ბნელი აქ მკითხავის მზერა უნდა იყოს - მიუხედავად იმისა, რომ სათვალე აქვს, მისი გამოხედვა მაინც ბნელია. როგორ ბედს უქადის ეს ბოროტი არსება პოეტს ?!

„ხელში შერჩება ყვავის ვალეტი,“ ხოლო გამხმარ შუბლზე წარწერა „მემენტო მორი“

ლექსი, პირობითად, ნაწილებად და დაყოფილი და აქვს აღნიშვნები: ა, ბ, გ, დ, ე. ა და ბ ნაკვეთებში ზოგადი სურათია დახატული, ფერადი სამყარო, ერთმანეთისგან გათიშული ლოკაციები, შემდეგ - მკვეთრი ცვლილება სურათისა და სიზმრების კომმარული ჩვენება. გ ნაწილიდან ვკითხულობთ სხვადასხვა ისტორიას, რომელიც

თავს ერთ პერსონაჟს გადახდა. მახინჯი ქალი უწინასწარმეტყველებს სიკვდილს, ქრება ის და მოდის ზღვის ურჩხული. გველი უამრავი თავით, რომელიც ახრჩობს ლირიკულ გმირს. უცებ მებღვაურს ემსგავსება, რომელიც სულ მუდამ ძიებაშია, მაგრამ არ აქვს ნავიგაცია. ბოლო სტროფი კი ერთგვარი შეჯამებაა. ბედისწერასთან მებრძოლი ლირიკული გმირი დანებდა, დაიღალა ბრძოლით.

„ან კი რას ნიშნავს ცბიერი ბედი,
ქარივით ჩქარი და წარმავალი?
ვინ მოუგრიხა ქარიშხალს ქედი,
ვინ შეუცვალა წყლებს გზა სავალი?“

ისიც დაჰყვება ბედისწერის დაუნდობელ ბორბალს, თუმცა ღმერთის იმედი აქვს, ეს იმედი გადაანერინებს პირჯვარს. მისი სიცოცხლე სიზმარივით არეულია, თუმცა არა

შავი და ბნელი არამედ ჭრელი.

„მთელი ცხოვრება სიზმარი არი,

სიზმარი ჭრელი; ვალეტით ხელში.“

არც მითოსური ამბები ავიწყდება მწერალს, ვფიქრობ გრიგოლ რობაქიძესთან დაახლოებულ კაცს არც უნდა დაავიწყდეს ორი მითიური ისტორია და ერთი სათაური - „დალი და დიანა“. პირველად გამოიცა „ბედი ქართლისას“ მე-17 ნომერში, 1954 წელი, მეორე გამოცემა „გვიან რთველშია“ , ლექსს კრებულშივე აქვს მინანერი, „დალასი, 1953,“ თუმცა ეს თარიღი შეცვლილია 1960 წლის კრებულში „გვიანი რთველი“. აქ ლექსის ბოლოს თარიღად 1955 წელა. ფაქტი ერთია: კალისტრატე სალიამ მე-17 ნომერი გამოსცა 1954 წელს, ამ ნომერში შესულია ლექსის პირველი ვარიანტი, ხოლო პოეტურ კრებულში დაბეჭდილია ლექსის ოდნავ სახეცვლილი მეორე ვარიანტი.

ორი სიუჟეტური ქარგა, მითი უკვდავი დალისა და მითი არტემის - დიანას შესახებ. ლექსს კრებულში აქვს განმარტება სათაურის ქვეშ. დალი- „სვანური მითოლოგიიდან. პირველ: ხელოვანის თვალით ხილული და ნაკვეთი გრ. რობაქიძის მიერ“. დიანა, იგივე

არტემის, ბერძნულ მითოლოგიიდან“. კრებულში ეს განმარტებები შეცვლილია გადანომვრით ა. ბ. მიუხედავად სახეცვლილი სტრიქონებისა, ამბის სიუჟეტური ქარგა არ იცვლება. ავტორი ეგზოტიკურ გარემოს გვიხატავს - გრაალის კოშკი, მძინარე დალი, ნასვამი პანი და მზეჭაბუკი. ყველა მათგანი მითოსური გმირია, რომელიც ლექსში ერთ ლოგიკურ დასასრულს გვიჩვენებს:

„და ძველი კოშკი კლდის ქიმერზე ინგრევა ქარში,
ნალეს მაკრატლით იკვეცება ოქროს დალალი,
შედიან ნისლში მზე-ჭაბუკი და ამორძალი“

სწორედ ეს მზეჭაბუკი არის დალის ახალი მსხვერპლი, სტროფის დასაწყისში იქმნება განწყობილება. გამყრელიძე აცოცხლებს მითს თავის უკვდავ ქმნილებაში.

რაც შეეხება ვარიანტებს - კრებულში ლექსის ამ სახეს ვხვდებით:

„თითქოს უღიმის ნეტარების უცხო სიზმარში,
გედის ფერ კისერს მოხვევია ოქროს დალალი,
გრიგოლის ძღვენი: საფირონი, ხვითო და ლალი-
-მნიფე მტევნები ჩანყობილა აღმასის ძარში“

ხოლო პოეტურ კრებულში „გრიგოლის ძღვენი“ შეცვლილია „ღვთიური ძღვენი“, მეორე ცვლილება ეხებე მარანში შეზარხოშებულ პანს.

კრებულში : „თხა ფეხა პანი გადაკრული ცეკვავს მარანში.“

წიგნში: „ცხრაფეხა პანი გადაკრული ცეკვავს მარანში.“

ცვლილებების გარეშეა დაბეჭდილი მეორე სიუჟეტი. შიშველი ქალღმერთი დიანა, არემარეს ატკობს თავისი მშვენიერებით, მაგრამ არავინ უნდა ნახოს მისი ტიტველი სხეული, არც ერთმა ადამიანმა. ტყეში წყაროს შქერთან მოთვალთვალე აქტეონი განწირულია. ის დატყვევებულია ამ სილამაზით, თუმცა განრისხებული ქალღმერთი სასტიკია.

„მოაჯადოვა აქტეონი რქააყრილ ირმად

და მიუსია საკუთარი ძაღლების ხროვა.“

ქალღმერთს შეუძლია იყოს სასტიკი და ამ შემზარავ სურათს მშვიდად უმზერს, ძაღლები სჯიან ქალღმერთის დამნახავს.

„და იდას მთები დაბურვილი მუქი მტევრები
მოსთქვამენ ქარში აქტეონის გარდაცვალებას.“

ამავე სიუჟეტს ვხვდებით გალაკტიონის ლექსში „როცა აქტეონი, ძეი არისტეას“, თუმცა აქ გალაკტიონს აქტეონში სააკუთარი თავი ჰყავს წარმოდგენილი:

„ვიცან, გალაკტიონ, შენში აქტეონი -
შენ გსჯის ყოველივე, როგორც სიყვარული.
შენგნით დანვრთნილები ყეფენ მოუსვენრად
ისევ შენთვისავე - ავი ძაღლებია,“

საკუთარი მტრებისთვის პოეტურად ნათქვამი სიმართლე! პოეტების მეფე სხვაგვარად იყენებს მითს დიანას შესახებ.

წარმოსახვითი რეალობიდანაა სიუჟეტი შემდეგ ლექსშიც. „მოგზაურის ოცნება“-1957 წელი, დალასი, კრებული N28. მარტო დარჩენილი ავტორი, მიუხედავად დევნისა, ვერ გატეხეს, ვერ წაართვეს ფესვები და ვერ აიძულეს უარი ეთქვა საკუთარ ქვეყანაზე.

ფიქრში წასული პოეტი, სოფელ ზოდში, შინ მიდის და წარმოსახვაში აცოცხლებს სურათებს, როგორი იყო ეს მიდამოები შემოდგომის თბილ და მზიან დღეს. ხედავს კობტა ეზოს, კრამიტიან სახლს, ჩრდილში ხარებს, კრუხ-წინილას, ესმის ჭრიჭინობელების ხმა და ამ ცხელ დღეს საკუთარი სახლის წინ მიმავალ მოხუც, გაჭალარავებულ მამას ხედავს. მამა დიდი ხნის უნახავ შეილს ვერ ცნობს და ჩვეული სტუმარმასპინძლობით სთავაზობს ჩრდილში მოსვენებას, ღვინოსა და სამხარს, ლირიკული გმირი ნერვიულობს:

„თავს ვიმაგრებ... არ მსურს მიცნოს...“

მაგრამ როდი მჯერა.

ცრემლი მახრჩობს, გულს გაუდის

ბაგაბუგით ძგერა.“

ფიქრები რეალურს ჰგავს, ისეთი დანვრილებით აღწერს პოეტი თითოეულ ნიუანსს, უკვე დაბერებულ მამასთან შეხვედრისას - მკითხველიც მიჰყვება მის განცდებს.

„და უეცრად აღმომხდება

ქვითინი და მამავ.“

შვილის ნახვით გახარებული მამა ყვირის, სურს, ყველას გააგებინოს თავისი სიხარული, იზღვება სუფრა, ზეიმი, ოჯახის სიხარული საზოგადო სიხარული ხდება.

სიუჟეტი აქ არ მთავრდება, ერთ ფიქრს მეორე ებმის და ახლა პოეტი დილას წარმოიდგენს, მთაში არწივებითა და ხარ-ირმით. დილისაგან მკვეთრად განსხვავებულია ღამე, მთვარის შუქი კოშკში ღამაში ქალის სახეს დანათის და პოეტს სახელოვანი წინაპრები ახსენდება, წინაპრები, რომლებიც მტრებისაგან შევიწროვებულ საქართველოს ყოველთვის ღირსეულად იცავდნენ.

ამ ვრცელი ლექსის მესამე, გადამწყვეტი ნაწილი საკუთარი გენის, ჯიშის უპირატესობის წარმოჩენას ეთმობა. აქ პოეტი აღარ ოცნებობს. აქ ცხადზე ცხადია სათქმელი.

„განა მართლა სანყალი ვარ

და უჯიშო გვარის,

მანანნალა, ემიგრანტი,

უპატრონო მკვდარი?“

არავითარ შემთხვევაში! ის მდიდარია, ძველი ოცნებები აქვს გასათბობად და საკუთარი უპირატესობის შესაგრძნობად. აქვს საკუთარი მიწა-წყალი, მის გენს კირისა და ფოლადის ფუძე აქვს, უძლიერესი, ორი ათასზე მეტი ხნის ისტორია. არასოდეს იქნება თავდახრილი, სუსტი, მიწაში ასე ღრმად ფესვგადგმული მუხა. მერე რა, თუ საკუთარი მიწა არ მიიბარებს მის ძვლებს, მერე რა, თუ ნათესავების ცრემლი არ დაედინება.

„ოკეანეს გადმოლახავს
საქართველოს ქარი
და ჩამძახებს: „სალამს გითვლის
რიონი და მტკვარი“.

ყველა აქ განხილულ ლექსს, პირველად მკითხველი „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე გაეცნო, მათი მკითხველთან დებიუტი აქ შედგა. ბევრი მათგანი პოეტმა და გამომცემლებმა შეიტანეს კრებულებში, თუმცა ორ პოეტურ ტექსტს „ბედი ქართლისას“ გახუნებული ფურცლები გვინახავს. მხოლოდ კრებულს და მასთან განმარტოებულ მკითხველს შეუძლია ამოიკითხოს სათქმელი, ემოცია, მოტივაცია, რომელმაც შექმნა ისინი. „26 მაისი“, „გრიგოლ რობაქიძეს“ - კრებულს გარეთ დარჩენილი ორი ტექსტი.

„26 მაისს“ დაწერილია 1958 წელს, დაწერის ადგილი - დალასი, დაიბეჭდა 28-ე ნომერში. პოეტის შთაგონება დამოუკიდებელი საქართველის არსებობის მე-40 წელია. დამოუკიდებლობის დღე ყველა ქართველისთვის საამაყო და მნიშვნელოვანია, სამშობლოს მოშორებული ადამიანისთვის და, განსაკუთრებით, მათთვის, ვისაც შეზღუდული აქვს ქვეყანაში ცხოვრების უფლება. პოეტს წარმოუდგენია, რომ დამოუკიდებლობის დღეს საზეიმოდ აღნიშნავენ, რომ მამადავითიდან და სიონიდან საზეიმო ზარები რეკავს, რომ ქართული სამფეროვანი დროშა კავკასიონის თავზე ფრიალებს და აჩვენებს მთელს კავკასიას თავის სიძლიერესა და სილალეს. ავტორს მთელი გულით სურს, ამდენწლიანი ნატვრის შემდეგ, ქვეყანამ აისრულოს თავისი ოცნებები, ამ ოცნებებს, რა თქმა უნდა, თეთრი გიორგი შეასხამს ფრთებს „ბილწი ვეშაპის“ განგმირვით. სიკეთე ამარცხებს ბოროტებას. თეთრისა და ბილწის ამგვარი მონაცვლეობა აქტუალურია გამყრელიძის შემოქმედებისათვის. აკი ვთქვით, „სიზმრებში“ როგორ იცვლება თეთრი ქათქათა სივრცე ბნელი, „ბილწი“ ფერებით. ავტორი არ ივინწყებს მითიურ ამირანს, რომელიც მარადიული ტანჯვის სიმბოლოცაა, ის მას ათავისუფლებს.

„შემოელენა ჯაჭვები რკინის
ამირანს, ხელ-ფეხს რომ უბანდავდნენ.
და იყო ყველგან შვება და ლხინი.
ლაზისტანიდან დარუბანდამდე.“

ავტორი აღადგენ ოქროს ხანაში არსებულ ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. გაერთიანების ამ შეგრძნებას გახარებული, სოფლელი გოგო-ბიჭების ზარზეში და დროშების ფრიალი მოსდევს. ჩვენი მტრების სიმბოლური სახეების გამოსახატავად ავტორმა ქაჯები და დევები შეარჩია, რომლებიც დაუხოცავთ და ხევში გადაუყრიათ, ამიტომ თავს დაგვნათის შვიდი მნათობი, დაჰქრიან თავისუფალი არწივები, ყვავის თამარის მინა და ხარობს ნინოს ვაზი. თითოეული მათგანი, ლექსის ბოლოს, მკითხველს სიძლიერისა და სტაბილურობის განცდას უჩენს, თუმცა ბოლო სტროფი გვაბრუნებს რეალობაში, გვახსენებს, რომ ჩვენი ლამაზი ქვეყანა მტრების ხელშია, რომ უკუნითაა დაფარული.

„დღეს კი, უკუნით შემოგარსულნი,
მოველით ახალ ვარდისფერ აისს.
კურთხეულ იყოს ერის წარსული,
დიდება მარად ოცდაექვს მაისს!“

უკვე მრავალგზის აღვნიშნეთ, როგორი მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდათ გრიგოლ რობაქიძესა და გიორგი გამყრელიძეს. ისიც ვიცით, რომ რობაქიძემ დადებითი შეფასება მისცა „გვიან რთველსა“ და რამდენიმე ლექსს, თუმცა მისადმი მიძღვნილი ლექსი განზე დატოვა.

გამყრელიძე მადლიერია იმ განსაკუთრებული და ინდივიდუალური შემოქმედებითი სტილის გამო, რომელიც რობაქიძეს აქვს. ახსენებს მითოსურ სახეებს: ივლიტეს, დალის, ლამარას. ვერახდენილი ოცნებები გრიგოლ რობაქიძესაც მრავლად აქვს.

„ყველა ოცნება, სიხარული და იმედები,
გაფანტა ქარმა, როგორც ქორმა გუნდი ტრედების.
და დარჩი მაინც - ჭეშმარიტი და სულმხურვალი.“

მანამ, სანამ ერთი ქართველი ცოცხალი იქნება, სანამ ქართული განსაკუთრებული გენი იარსებებს, გრიგოლ რობაქიძის სახელი დავინწყებას არ მიეცემა, - ამბობს ავტორი და ძნელია არ დაეთანხმო. თავმდაბლობა და თავდაჯერებულობა გამოარჩევს დიდ პიროვნებებს. სწორედ ესაა მიზეზი, რატომაც ლექსი კრიტიკოსმა განზე დატოვა.

ასე გამოიყურება გიორგი გამყრელიძის შემოქმედება ისტორიულ, ლიტერატურულ და სამეცნიერო კრებულ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე. ძირითადი მოტივებია მონატრება, იმედი და რწმენა იმისა, რომ სამშობლო თავს დაიხსნის მტრებისგან, გათავისუფლდება და მამულისგან შორს ცხოვრება აღარ მოუწევთ. ასევეა მიძღვნილი ხასიათის ლექსები იმ ადამიანების მიმართ, ვინც ემიგრაციის უღელს მასთან ერთად ეწოდა და უმსუბუქებდა დარდს. პოეტმა სამშობლოში დაბრუნება ვერ შეძლო, ახლა მისი, როგორც მოგზაურის წინასწარმეტყველება. ახლა, საქართველოდან, ყვირილიდან, რიონიდან, მტკვრიდან მონაბერი ჰაერი ოკეანეს გადალახავს, მოძებნის პოეტის სათლავს და მშობლიურ სიტყვას ეტყვის, ეს ხომ მისი სურვილი იყო. სხვას არაფერს სთხოვდა საკუთარ ქვეყანას.

თავი II

გიორგი ყიფიანის პოეზია „ბედი ქართლისას“ თურცლებზე

11 წლის ბავშვისათვის რთული ასახსნელია დამოუკიდებლობის მნიშვნელობა და მით უფრო, ქვეყნის დამოუკიდებლობის საკითხი. არ ვიცი, როგორ განვმარტო ბედისწერა, ერთი კი ცხადია, ვილაც 15 წლის ასაკში, სრულიად გააზრებულად მზადაა სახალხო აჯანყებაში მიიღოს მონაწილეობა და თავისი სიცოცხლის ფასად ქვეყნის

დამოუკიდებლობისათვის იბრძოლოს. ვერ ვიტყვით, სიცოცხლის მნიშვნელობასა და თვას ვერ იაზრებს-მეთქი, პირიქით, მან კარგად იცის, რამდენად ძვირფასია სამშობლო, რამდენად მნიშვნელოვანია მისი თავისუფლება და ბრძოლა ამ თავისუფლებისთვის, გააზრებული არჩევანია. გიორგი ყიფიანი მონაწილეობას იღებს 1924 წლის აჯანყებაში. ამ აჯანყების შედეგები საყოველთაოდ ცნობილია, ვიცით, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ვისაც „გაუმართლა“ და ცოცხალი დარჩა, ქვეყნიდან გადაასახლეს, ზოგი ამ გადასახლებასაც გაექცა და სრულიად უიმედოდ, რწმენით, რომ კვლავ მიეცემოდა ბრძოლის შანსი, სამშობლოდან შორს, უცხო მიწაზე სიცოცხლეს მოებლაუჭა. მარტივი არც გიორგი ყიფიანისთვის იყო. მან თავშესაფარი პარიზს და მზრუნველობა ქართველ ემიგრანტებს: ვიქტორ ნოზაძეს, ედუარდ ჰაპავასა და ისიდორე მანუკავას სთხოვა. მათაც გულლიად მიიღეს და კარგი მეგობრობა გაუწიეს თანამებრძოლსა და შემდეგში - თანამეკალმეს.

გიორგი ყიფიანი დაიბადა ქუთაისში, ვაჭრის ოჯახში, 1910 წელს. 1918-1920 წლებში სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიასთან არსებულ დანყებით სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, ვაჟთა პირველ გიმნაზიაში განაგრძო სწავლა. სწავლის პერიოდშივე ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ემიგრაციაში წასვლის თარიღად ავთანდილ ნიკოლეიშვილი 1929 წელს ასახელებს. გიორგი ყიფიანი ორჯერ დაოჯახდა. პირველი ქორწინებიდან მას ვაჟიშვილი გივი ყიფიანი ჰყავდა. მეორედ ის ირინე დიმიტრის ასულ დათაშვილზე დაქორწინდა. მათ არა მარტო ერთმანეთის სიყვარული აძლიერებდათ სიცოცხლის ბოლომდე, არამედ პოეზიის სიყვარულიც აერთიანებდათ.

„გიორგი ყიფიანი იყო მაღალი, წარმოსადეგი ლამაზი ვაჟკაცი, რაჭა-იმერეთის ტიპური წარმომადგენელი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გიორგი ყიფიანი ერთხანს დიაკონიც ყოფილა. ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა საზოგადოების აქტიური წევრი.“ [შარაძე გ, 1991: 282]

”თითქმის ყოველივე შაირი გიორგი ყიფიანის ამოძრავებელია ტკივილით სამშობლოს მოწყვეტილისა. ავტორი დაშორებია მშობელ მინას ყმაწვილობისას. ეს კიდევ უფრო ამძაფრებს მის ტკივილს და თანაც: კიდევ უფრო აღრმავებს მის სიყვარულს სამშობლოსადმი. კითხულობ მის შაირებს და გვონია: თითქოს იგი „აქედან“ წვდებოდეს მშობელ წიაღს „იქ“, რომ შეავსოს გემებმა მადლით სავსე ნაყოფთა დედულისა და მამულისა. წვდება კიდევ: ნატვრით წარმოსახული მას ხორცსხმულ სინამდვილედ ევლინება. ასეთია მქმედი ძალა სიყვარულის, საკუთარი ღრმა ტკივილით აღვივებულის.“ [ყიფიანი გ, 1973: 187] - ამ სიტყვებით აფასებს გრიგოლ რობაქიძე გიორგი ყიფიანის შემოქმედებას. გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ემიგრანტულ ქართულ მწერლობაში მას განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა დამკვიდრებული, ყოველთვის ჰყავდა მკითხველი და სიცოცხლეშივე სასიამოვნო შეფასებებით იყო განებივრებული. დადებითი რეცენზიები უძღვნეს მის არა მხოლოდ ქართულენოვან შემოქმედებას, არამედ - ფრანგულად ნათარგმნ ლექსებსაც. „ჩვენთვის , ქართველთათვის საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ გამოიყურება გიორგი ყიფიანი, ფრანგული პოეზიის ტაძარში, მოკრძალებით და პატარა კარებით, მაგრამ მაინც შესული - ფრანგი მკითხველის წინაშე წამდგარი.“-[ქავთარაძე მ, 1976: 87], გიორგი გამყრელიძე კი ფიქრობს, რომ ყიფიანის ლექსები „პოეზიის მოყვარულ ყოველ ქართველს გულზე მოხვდება და მადლობით იფიქრებს მის ავტორზე.“

გიორგი ყიფიანის შემოქმედება მკითხველთათვის ხელმისაწვდომი გახდა 1930-იანი წლებიდან, როცა მან დაიწყო ლექსების ბეჭდვა პერიოდულ გამოცემებში. პირველი პოეტური კრებული 1935 წელს გამოსცა დ. ხელაძემ. ყიფიანი სულ 6 პოეტური კრებულის ავტორია. მეორე კრებული ისევ ხელაძის სტამბაში გამოვიდა 1951 წელს სათაურით - „რჩეული შაირების კრებული“. მესამე კრებული - 1965 წელს ვიკტორ ნობაძის რედაქტორობით - „ლექსები, 1930-1965“. შემდეგი პოეტური კრებულის რედაქტორიც ვიკტორ ნობაძე აღმოჩნდა - „პოეზიისა და სიცოცხლის ვაზი, 1965-1973.“ 1975 წელს,

ირინე ყიფიანი, ასმათ ფალავა და ლევან ზურაბიშვილი თარგმნიან ყიფიანის ლექსებს, რომელიც გამოდის სათაურით - „Un Poete Georgien a Paris“- „ერთი ქართველი პოეტი პარიზში,“ ბოლო პოეტური კრებული კი 1979 წელს გამოვიდა, ვიქტორ ნოზაძისადმი მიძღვნილი - „ირინე და გიორგი ყიფიანის საზიარო პოეზია.“

გიორგი ყიფიანის შემოქმედებაზე საუბარი მის ერთ-ერთ კრებულზე მინანერი სიტყვებით უნდა დავიწყოთ.

„შეინდე ფიქრი, უცხოეთო, უცხო მწერლისა,
ო, უკვდავებავ, შენ იცოდე, - არ გეტმასნები;
მე ნაწილი ვარ საქართველოს ბედისწერისა
და რუსთაველის ფეხთა მტვერის მეთასედი.“

კრებულ „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე გიორგი ყიფიანი 1950 წლიდან ჩნდება. კრებულის მე-7 ნომერში იბეჭდება პოეტის ლექსი „მარიამ დედოფალი“. ლექსი შესულია 1951 და 1965 წლის პოეტურ კრებულებში, „რჩეული შაირების კრებულში“, ლექსები დალაგებულია ციკლების მიხედვით, პირველი ციკლი არის „სურათები საქართველოს ღამეებიდან“, რომელიც სამშობლოს სიყვარულითა და მონატრებითაა ნასაზრდოები, შიშით, რომ საქართველოს როგორც პატარა ქვეყანას, საფრთხე ემუქრება, თუმცა აქვეა იმედი ღვთისადმი, რომ ის დაეხმარება საქართველოს. აქ ვხვდებით ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელი რუტინული ცხოვრების აღწერას წელიწადის სხვადასხვა დროს; ამბებს, რომლებსაც შორს მყოფი ავტორი აცოცხლებს თავის გონებაში. „ბედი ქართლისაში“ დაბეჭდილია ამ ციკლში გაერთიანებული ოთხი ლექსი, ესენია: „განწირული მასპინძელი“ („ბედი ქართლისას“ მე-7 ნომერი, შესულია „რჩეული შაირების კრებულში“ 1951 და 1965 წლის კრებულში), „ღამე განთიადისკენ“ („ბედი ქართლისას“ მე-8 ნომერი, შესულია „რჩეული შაირების კრებულში“ 1951 და 1965 წლის კრებულში), „შემოდგომა“ („ბედი ქართლისას“ მე-14 ნომერი, შესულია მხოლოდ

„რჩეული შაირების კრებულში“ 1951), „ზამთარი“ („ბედი ქართლისას“ მე-9 ნომერი, შესულია „რჩეული შაირების კრებულში“ 1951 წელი და 1965 წლის კრებულში).

ღმერთისადმი მიმართვა „ღმერთო, შეინდე ეს ქვეყანა,“ ეკუთვნის საქართველოსათვის მლოცველ პოეტს. ის აცნობიერებს, რომ დედამიწა ცოდვის ადგილია და მარტო მისი სამშობლო არაა ამ გასაჭირში, თუმცა შენდობას მხოლოდ მისთვის ითხოვს, რადგან იცის, რომ ახალი საუკუნე, ახალი წყობა შეიძლება დამლუპველი იყოს ამ პატარა ქვეყნისთვის.

„ყელზე მეხვევა საუკუნე გველის პერანგით,
და შხამს მიმზადებს უღეგარი ახალი მოღვმა.“

„გველის პერანგით“ შემოსილი საუკუნე ხაზს უსვამს ბოროტების სიმძლავრესა და დაძაბულობას, დროებით გაურკვეველობას, შემთხვევითი როდია გრიგოლ რობაქიძის ამ სახის გამოყენება. აქ რომანის შინაარსიც უნდა გავითვალისწინოთ, გარკვეულწილად, და ვიფიქროთ, რომ ქვეყანა საკუთარი ძალების ძიებასა და თავის დამკვიდრების პროცესშია, შეიძლება, ეს პროცესი დამლუპველიც იყოს, თუმცა გადარჩენის გზა არის, რადგან:

„დაღადრულ დღეებს გადასცდება თეთრი მერანი.“

ნიკოლოზ ბარათაშვილის მერანი აქ თეთრად და წარმოდგენილი. სიმშვიდისა და სისპეტაკის ეს განსახიერება გვაფიქრებინებს, რომ შავი დღეების უკან მოტოვებას შეძლებს ქვეყანა და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. დიდი ისტორიის ერებს შეუძლიათ გადარჩენა, სულ მცირე, ისტორიის გამო.

„სათნო ბინა მაქვს საიდუმლო ცრემლით ნაშენი,
ციურ ლოცვებით ჩამოქნილი ყოველი კუთხე,
მწარე ტკივილით გამოზრდილი წვრილი ბავშვები,
გადამირჩინე, ღვთისმშობელო, ცრემლით მიკურთხე.“

ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რომელსაც პოეტი ლექსში ეხება, ესაა თავდაცვა და არა თავდასხმა.

„ჩემი მუქარა ამა ქვეყნად არვის სმენია.“

მიუხედავად ამისა, მოვარდნილ მუქარასა და აგრესიას ყოველთვის ვუმკლავდებით. „მოხუცი ხმლის“ ხაზგასმა, კიდევ ერთხელ შეხსენებაა იმისა, რომ საქართველო დიდი ისტორიის ქვეყანაა, საკუთარი ენით:

„საკუთარ ენით ვლაპარაკობ, მითხართ, რას მერჩით.“

ბოროტებასთან მებრძოლი საქართველო, ლექსის ბოლო სტიქონებში, თავის უპირატესობებს ასახელებს: „სიცოცხლის ელჩი,“ „ნახნავი მიწა,“ „ვაზის ჯვარი“ - სიმბოლოები, რომლებიც მშვიდობასთან ასოცირდება, მიუხედავად ამისა:

„მაგრამ სიმშვიდით მოსვენება არვინ მალირსა,

მუხანათურად წამიბილწეს გრძნობა ამდენი,

სუფთა, უმნიკლო წამიქციეს სუფრა პურადი,

ღვინოთ სვეს დაჭრილ სხეულიდან სისხლის ნადენი,“

ამ უსამართლო ბრძოლების, უსამართლო თავდასხმებისა და ბრალდებების გამო განწირულია მასპინძელი, განწირულია მშვიდობის მოყვარული ქვეყანა, რომელსაც არავისთვის აუგი არ უნდა. მას შესწევდა ძალა, სისხლით ნასველები მიწა, „მოხუცი“, მაგრამ ძლიერი ხმლით დაეცვა ახლა კი

„მასპინძელს დამაქვს სასიკვდილოდ დანა - გულამდი.“

სულ სხვანაირი, მუსიკალური, მშვიდი და წყნარია „ღამე განთიადისკენ“ მიმავალი. ეს სურათი არ ჰგავს წინა დაძაბულ სურათს, აქ სხვაგვარი სიმშვიდე იღვრება გულში. აქ არა ისტორიული ქართველები, არამედ ერთი წყნარი საღამოა აღწერილი. აღსანიშნავია ლექსის მუსიკალური შერითმება:

„ნაცრის-ფერ, სირმით ნაფერ ტირიფებს,

თეთრი ტერფები ჩაუდგამთ წყალში,

ისე, ვით ბავშვი, თამაშობს ლანდში,
მძინარე ვარდის სურნელებაში.“

წყალში მთვარის ანარეკლი ჩანს, საცაა დაბინდდება და ამ ლურჯ სივრცეს
სოფლის ამბებს უამბობს ღამე. ჭრიჭინობელების ხმა, ვერხვებისა და ვაზის შრიალი
გაღვეს ღამის სიმშვიდეს და განთიადისკენ, ველად გაზრდილი, სამყურა ბალახი
ცვრისგან დაინამება. განთიადის შესახვედრად მოემზადება სიმინდის ყანებიც, ღლის
ხმაურიან და აქტიურ სიმღერას ჯერ კიდევ სძინავს ამიტომ ტყე-ველში სასიამოვნო

სიმშვიდეა. ამ დროს კი -

„გაღმოიხედავს მალალ მთებიდან,
სხივთა თმები და ლურჯი ქალწული,
ხვთება ქვევიდან სოფლის მოქნარება,
ღამის ზმანება, მზე - სიხარული.“

ამგვარი გუნება-განზობისაა „შემოდგომის“ სურათი საქართველოს ღამეებიდან.
გაყვითლებული, დამტკნარი ფოთლები, მიწურული სიციხეები და ტყის თეთრი ყაჩაღი -
თოვლი ემზადება ქვეყნიერების დასათვარად. მშრომელმა გლეხმა შეინახა ჭირნახული
და შრომაში გაღეული ნაჯახი ზამთრის ძილით მიაძინა. ახლა გრძელი ღამეებისა და
ცეცხლის შუქზე მოსაყოლი ამბების დროა. ზამთრისათვის მომზადებულმა ღამეებმა
თვალი უნდა ადევნოს სიმინდის რჩევას, ფელამუშის მოღუღებას, მაჭრის დაღვინებას და
უამრავ ამბავს, რომელიც არა მარტო სურათებს შეეფერება საქართველოს ღამეებიდან,
არამედ - გმირობებს საქართველოს ისტორიიდან. შემოდგომის მიწურულს კი ტყეები
თეთრ ხელთათმანს ჩაიცვამენ და სიჩუმე შეცვლის ფრინველების ჭიკჭიკით მოქარგულ
დილა-სალამოს. შემოდგომა მიიწურა. დადგა მშვიდი ზამთრის დრო, რომელმაც:

„მოსწყვიტა მზიდან მიწიერი სიცოცხლის სატრფო,
და ქოხებს ათბობს დამსხვრეული ტყეთა ტრიალი.“

ქათქათა სამოსშია გახვეული „ზამთარი“. პოეტს უყვარს თეთრად გადაპნტილი ზამთარი, სისპეტაკის, უცოდველობის, სითეთრის გამო. სწორედ ამ სიყვარულს გამოხატავენ მეტაფორები: სინმინდის ნათელი, მართალი ფიფქი, ნათელი სამყარო, ფერ-მკრთალი მიჯნური. ლექსში ჭარბობს თეთრი ფერის სხვადასხვა ტონალობა - ვერცხლსფერი, ნათელი, კრიალა თეთრი. გლეხები უსაქმოდ არიან ზამთრის ცივ ამინდში.

„დაგუნდულ - გუნდების დაღლილი მკლავები,
ყინვების ნალესი დაკიდულ ხანჯლებად,“

ამ იდეალურ სიმშვიდესა და სინყნარეს არღვევს მარხილისა და მთიდან მონახბერი ქარის, ბაგაზე დაბმული ხარების, შუაცეცხლის ხმები და მისთვის მოგონილი გრძელ-გრძელი ამბები.

კრებულში „1930-1965 ლექსები“ ვკითხულობთ სათაურს „გაზაფხული“, იგივე სათაური იკითხება „ბედი ქართლისას“ მე-19 ნომერში. ლექსებს სათაური და რამდენიმე სტროფი აქვთ საერთო. როგორც კვლევამ გვაჩვენა, ყოფინმა კრებულში დაბეჭდილი ლექსები, წიგნში შეტანამდე, კარგად დაამუშავა და ამიტომაც ვხვდებით ასეთ სახეცვლილებას, განსხვავებას არა ტაეპის, არამედ სტროფის დონეზეც არის. კრებულში დაბეჭდილ ვარიანტში ვკითხულობთ სტროფს, რომელიც წიგნში ამოღებულია:

„ცივ ქვეყანას ამოძრავებს,
გულ მხურვალე სითბოს დენა,
ტრფობით ხარობს ორი დედა,
მწვანე მინა, ცის სიმღერა.“

შინაარსი მაინც ერთია, ორივე ვარიანტში გაზაფხულის სურათია აღწერილი, როგორ იღვიძებს ბუნება, როგორ გადის გლეხი მინის დასამუშავებლად: ასუფთავებს, ხნავს, თესავს. ყვავილები ჩნდება და იქარგება არემარე მრავალფერად.

ის ფაქტი, რომ ავტორი ასწორებს ლექსებს, თავისი შეხედულებისამებრ ცვლის სახეს, სტროფებსა და ზოგჯერ ლექსის სტრუქტურას, გვახსენებს გალაკტიონის ტექსტთა სახეცვლილებებს. თუმცა, ყოფიანთან თარიღთა ცვლილება ბევრად ნაკლებად გვხვდება.

სახეცვლილი და დამუშავებული ლექსი „ქუთაისი“ შევიდა პოეტურ კრებულში „ლექსები 1930-1965“, მანამდე კი დაიბეჭდა „ბედი ქართლისას“ მე-17 ნომერში. როგორც ჩანს, სიტყვები „მე დამავიწყდა“, შეცვალა ფრაზამ „ისევ მილიმის“. ამიტომ:

„ისევ მილიმის მზით ნათელი ჩემი ქვეყანა,“

„ისევ მილიმის ქუთაისის ცელქი მაისი“

„ისევ მილიმის სასწავლებლის თეთრი კედლები“

ან კი რა დაავიწყებდა?! პოეტი ხომ ქუთაისში დაიბადა და დაწყებითი განათლებაც აქ მიიღო, რა დაავიწყებდა მშობლიურ ქუჩებსა და ქუთაისის ხიდებს, რიონს, რომელიც ზათხელის ცხელ დღეებში, როდესაც ყველა მდინარის კალაპოტი მშვიდი და სუფთაა, ხმაურიანი და ამღვრეული მოაპობს ნაპირებს. როგორ შეიძლება დაავიწყებოდა ბაგრატის, მონამეთასა და გელათის ტაძარი, რომელიც მფარველობს ამ უძველეს ქალაქს?!

ლექსის მეოთხე სტროფში ცვლილება „ვერ დავივიწყე“ იმ დიდ გულისტკვილს ამჟღავნებს, რომელიც ყველა ემიგრანტის გულს წვავს. დიახ, მათ არ შეუძლიათ სამშობლოს დაავიწყება, ბედნიერად ცხოვრება უცხო მინაზე, უცხო ხალხის გარემოცვაში, ამიტომაც პოეტი წერს:

„ვინ შემითვისოს, ვინ მიმიღოს, ვინ მანუგეშოს?!“

პარიზის ქუჩებს ფეხით ვთელავ ყვითელი მკვდარი.“

.....

„ნიჩბებს არხევენ ცეცხლიანი ქვეყნის ტალღები,

მძიმე ბრალდებით მივაბიჯებ მოკვეთილ მუხლებს.“

პერსონაჟი ამჩნევს, როგორი ლაღია ცხოვრება მის გარშემო, თუმცა მისი ყოფა ნამდვილად არაა მშვიდი და ბედნიერი. გულს უმძიმებს გაუცხოების ტკივილი, იტანჯება ბედთან ყოველდღიური ბრძოლით. მისი აზრით, ასეთ მძიმე სულიერ ტრავმას შეუძლია თვითმკვლევლობამდეც მიიყვანოს ადამიანი და მან ყველაზე კარგად იცის, რომ ასეთ ადამიანს მკვლევლობაც უნდა აპატიო.

„დღიური ბრძოლით დრო მაძულებს ბედის ძიებას,
ყველასთვის უცნობს თვით მკვლევლობაც მეპატიება.“

„რჩეული შაირების კრებულში“ ლექსები დალაგებულია ციკლების მიხედვით, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ - „სურათებზე საქართველოს ღამეებიდან“, აქვეა „პოეტები უცხოეთის ჩარჩოებიდან“. ამ პოეტურ ციკლს ეკუთვნის „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე დაბეჭდილი ორი ლექსი: „მარიამ დედოფალი“ და „გრიგოლ რობაქიძე“.

„დედა უფალი, ხარ დედოფალი,“ -

მიმართავს საქართველოს უკანასკნელ დედოფალს გიორგი ყიფიანი და დიდი პატივისცემით აცოცხლებს ისტორიას, სახელოვანი დედოფლის გმირულ გადარჩევტილებას - შეენწყვიტა მოძალადე გენერლის სიცოცხლე. *„დედოფალი იმავე წამს წამოვარდა, ხელში ეჭირა ხანჯალი, რომელიც მუთაქის ქვეშ ჰქონდა დამალული და ჩასცა ლაზარევს მარცხენა გვერდში ისეთი ძალით, რომ ხანჯლის წვერი მეორე მხრით გამოჩნდა.“* [სალია კ, 1950: 4] ვინ გაუბედავს დედოფალს, შეურაცხყოფა მიაყენოს, მას თვალებში ყურებას ვერ უბედავდნენ და გენერალს, როგორი ძალაუფლებაც არ უნდა ჰქონოდა, ვერ აპატიებდა შეხებას, არა მხოლოდ პირადი შეურაცხყოფის, არამედ ერის უპატივცემულობის გამოც. ის ქვეყნის სინძინდია, ქვეყნის დედოფალია, ამიტომ ყიფიანი ზუსტად შეარჩევს სიტყვას და წერს „დედა უფალი“. *„ასეთის სიკვდილის ღირსია ის, ვინც გაბედა და ჩემს უბედურებას უპატიურობაც დართო,“* - ამბობს მარიამ დედოფალი ლაზარევის განგმირვის შემდეგ. [სალია კ, 1950: 4] ისტორიამ დამახინჯებულად, თუმცა შემოგვინახა ცნობები მარიამ ციციშვილის შესახებ.

ვიცი, რომ თანამედროვე ისტორიკოსებს არ სურდათ დედოფალი მკვლელად მოეხსენიებინათ, თუნდაც მოკლული მისი მტერი ყოფილიყო. ამიტომ პლატონ იოსელიანი მომხდარს ამგვარად აღწერს - „*მუნ-მყოფელმან, თავადმან ნიკოლოზ ხიმშიაშვილმან მსწრაფლ ამოიღო ხანჯალი, დასცა ლაზარევს მუცელში, ლაზარევი წაიქცა, და თვით ხიმშიაშვილი მეორეს ეზოს ბალკონით გავიდა ქალაქიდან და გაიქცა ახალ-ციხეს.*“ [სალია ვ, 1950: 5] ისტორიკოსებისთვის ეს პრობლემა იყო, თუმცა გიორგი ყიფიანი ამ საქციელს გმირობად თვლიდა, ამიტომაც წერს:“

„წმინდანის ხმალით ქრისტეს ჯვარიდან,

ცრემლების ჯარით გამონათალი,

საქმე მართალი მეფეთ გვარიდან.“

მარიამ დედოფალს რთული ბილიკით მოუწია სიარული, გადასახლება, ზენოლა, იძულებით შვილების დათმობა და სამხედრო სასწავლებელში გაშვება. ბევრი თხოვნა და ბრძოლა ჯერ პეტერბურგში ცხოვრებისათვის და შემდეგ - სამშობლოში დასაბრუნებლად. დედოფალს საქართველოში ჩამოსვლა არ დასცალდა, ახლა კი მისი ნეშთი აქ, ქართულ მიწაზე განისვენებს, მისი სახელი კი ისტორიას ღირსეულად შემორჩა. სწორედ ამ საამაყო ფიგურას უძღვნის ყიფიანი გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ ლექსს, რომელიც „ბედი ქართლისას“ მკითხველისთვის, იცის, აღმაფრთოვანებელი იქნება.

ვინ დაამშვენებს „უცხოეთის ჩარჩოში“ მოთავსებულ პოეტს ისე, როგორც გრიგოლ რობაქიძე! ძნელია, იპოვო გრიგოლ რობაქიძის თანამედროვე პოეტი, რომელიც მისით აღფრთოვანებული არ იქნება და ერთ ლექსს მაინც არ უძღვნის. არც გიორგი ყიფიანი იყო გამონაკლისი.

„ქართველი პოეტების ელჩი“, „ქვეყანაზე ფიქრით აძგერებული გული“, „ახალი სიტყვების შემოქმედი“ - აი ფრაზები, რომლებითაც ახასიათებს რობაქიძეს:

„შენ გადახსენი ევროპის გულში,

ქართული ძარღვის, სისხლის უჭრედი,“

ყოფიანი პატივს სცემს გრიგოლ რობაქიძეს, ეთაყვანება იმის გამო, რომ ქართულ სიტყვას გასაქანი მისცა, მისი შემოქმედება არის გენიის ზეიმი, ქართული ჯიშის უპირატესობის დამტკიცება. ეს არა მარტო ქართველი მკითხველისთვის გააკეთა გრიგოლ რობაქიძემ, უცხოენოვან საზოგადოებასაც გააცნო, რაოდენ ძლიერია ქართული სისხლი, მძლავრად მჩქეფარე ქართულ სხეულში.

„ვინა სთქვა ბედ-კრულს, ერი არ გწყალობს,

შაირებს შეკრულს მაგარ თქმებიდან,“

კრებული „ბედი ქართლისა“ ერთ-ერთი საკომუნიკაციო საშუალება გახლდათ „უცხოეთის ცის ქვეშ“ მყოფი ქართველებისათვის. მის ფურცლებზე არა მარტო სიხარულს, არამედ მწუხარებასაც უზიარებდნენ ერთმანეთს და ხშირად იბეჭდებოდა მიძღვნილი ხასიათის ლექსები კონკრეტული პირებისადმი. „ევგენი გეგეჭკორს“, „დავით გურამიშვილს“, „პრეზიდენტის დასაფლავება“, „ლ.ბ.“ - ლექსები, რომელთა შთაგონების წყარო დიდი ტკივილი, ან უბრალოდ, მათზე დაგროვებული უთქმელი სიტყვები გახდა.

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც მთელი თავისი ენერჯით ცდილობდა, საქართველოს შესახებ გაეგებინებინა მთელი მსოფლიოსთვის, ავტორი ბროშურისა „საქართველოს მომავალი“, რომელიც უენევაში, ჟან მარტენის წინასიტყვაობით გამოიცა, იმსახურებდა ემიგრანტი პოეტისგან დატირებასა და მადლიერებას იმ საქმიანობისთვის, რასაც ევგენი გეგეჭკორი აკეთებდა:

„ნოეს გაჰყევი გულით ერთ-გული,

შეუღლებული უმძიმეს ხვედრით,

ორნივ ჭალარა დანისლულ ღროის,

ძველ განთიადის წინა-მორბედი.“

ქვეყნის სახელმწიფოებრიობისთვის ბრძოლა 1921 წლიდან აუცილებელი ფაქტი გახდა. ამ დროს საქართველოს მთავრობა ყველა მეთოდით ცდილობდა მსოფლიო მხარდაჭერა და დახმარება მოეძიებინა. ევგენი გეგეჭკორი ამ ბრძოლის ერთ-ერთი მედროშე გახლდათ. ამ დიდი ღვაწლს ყიფიანი სწორად აფასებს:

„უდევარ დროის დიდი ღესპანო,
შენ გაასწარი თვით საბა-სულხანს.“

სულხან-საბა საქართველოს ელჩის სტატუსით დახმარებას სთხოვს საფრანგეთს, იტალიას. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში საქართველო ითხოვს შველას ევროპისგან. 1919 წლის 21 მარტს დამფუძლებელმა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გამხდარიყო ევგენი გეგეჭკორი. მას დიდი მისია აკისრია, უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან და შემდეგ თანამოაზრეები და მხარდამჭერები ეძიოს ევროპაში. მისი სურვილი იყო კავკასიის ხალხთა კონფედერაციის შექმნა, რადგან ერთიანი კავკასია იყო დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობა და საგარეო საქმეთა მინისტრი ყველანაირად ცდილობდა დაეცვა საქართველოს თავისუფლება. ის ასევე ცდილობდა ანტანტას იურიდიულად ეცნო საქართველო დამოუკიდებელ ქვეყანად. ცოტა მოგვიანებით ის ცდილობდა დასავლეთ ევროპისათვის გაეცნო ჩვენი ქვეყანა და მოლაპარაკებებს აწარმოებდა. დიპლომატიური მისიით იმყოფებოდა იტალიაში, საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში. ამიტომ აფასებს გამყრელიძე მის ღვაწლს და ამბობს, რომ დიდ ღესპანს, სულხან-საბას გაასწრო. მისი ბრძოლა არ შეწყვეტილა საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც. ის ეძებდა მოკავშირეებს, რომლებიც დაეხმარებოდნენ ჩვენს ქვეყანას ძალების აღდგენასა და თავისუფლების დაბრუნებაში.

ევგენი გეგეჭკორის ბრძოლა არ ყოფილა უბრალო, მის თავგანწირვას სამშობლოსათვის არ ჩაუვლია უშედეგოდ,

„რადგან განაგებს კაცობრიობას,

„ოთხი დიდი“ და სხვანი პატარა.“

„ბედი ქართლისას“ მე-18 ნომრში გამოქვეყნების შემდეგ, ლექსი 1930-1965 წლის პოეტურ კრებულში დაისტამბა.

გიორგი ყიფიანი ლექსს უძღვნის დავით გურამიშვილს, გარდაცვალების 250 წლისთავზე. ლექსი დაბეჭდილია „ბედი ქართლისას“ 21-ე და 22-ე ნომრებში. თარიღად კი 1956 წლის 28 იანვარი აქვს მითითებული. ავტორი აფასებს „დავითიანს“, აღნიშნავს მის დიდებულებას და განსაკუთრებულ ხაზს უსვამს ლექსში დავით გურამიშვილის ბიოგრაფიულ დეტალებს. აღნიშნავს, რომ იძულებით მოუწია ქვეყნის გარეთ ყოფნა და გარკვეულწილად იზიარებს იმ უღელს, რაც დავით გურამიშვილს ემიგრანტის სახელის ქვეშ ედგა. გიორგი ყიფიანმა კარგად იცოდა, როგორი რთულია ემიგრანტობა და სამშობლოსგან შორს ყოფნა. ეს ორი ადამიანი მონათესავე სულები არიან. ორივე პოეტი, სამშობლოსგან შორს, ნუგეში პოეზიასა და საკუთარ შემოქმედებაში. გიორგი ყიფიანს განსაკუთრებულად უყვარს გურამიშვილი, რადგან ბიოგრაფიულ დეტალებში ბევრი საერთოა. ამიტომ მონივნება და პატივისცემა ლექსს ნამდვილად ამკობს.

„კვირტი იყავ გაუმლელი,
სხვის მინაზე ვერ იხარე,
უღედმამო მინდვრის შვილმა,
ცივ ორმოში ცრემლი ღვარე.“

შორეული ქვეყნიდან სიყვარული და მონივნება ქვეყნისა კარგად აქვს გააზრებული ყიფიანს, ამიტომ მას ყველაზე კარგად შეუძლია თქვას და დაათვასოს გურამიშვილის ღვანლი. მან იცის, რომ საქართველომ გურამიშვილის „შვილი“ შეისისხლა. ლექსი შეტანილია 1930-1965 წლის ლექსების კრებულში.

„კვირას, 11 იანვარს, დილის სამ საათზე, უეცრად გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ნოე უორდანიას, რასაც მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას დაკრძალვის მომზადობის კომისია.

თანახმად განსვენებულის სურვილისა - არ იქნება არც ყვავილები, არც გვირგვინები და არც სიტყვები.“ [ნიშნიანიძე რ, 2005: 302]

ჟურნალ „ბედი ქართლისას მე-15 ნომერში დაბეჭდილია გიორგი ყიფიანის ლექსი „პრეზიდენტის დასაფლავება“.

„არც ერთი გვირგვინი, არც ერთი სიტყვა,
უცხოეთს ჰყინავს ცრემლის სიცივე,
დასრულდა წირვა, გაიღო კარი,
კუბოს ეხვევა სამეფო დროშა,
ვით განწირული ბედის აკვანი“ -

ანდერძი, რომელიც ზედმიწევნით ზუსტად შეასრულა დაკრძალვის ორგანიზატორმა კომისიამ. პრეზიდენტის სურვილის თანახმად, მისი უკანასკნელი გზა ჩუმი და მოკრძალებული გახლდათ. ტკივილი მისი დაკარგვისა კი - გაუზომელი.

საქართველოს მთავრობის გადანყვეტილება, გაქცეულიყო საკუთარი ქვეყნიდან და შეენარჩუნებინა მისთვის დამოუკიდებელი საქართველოს სახელი, დიდ იმედებს აღძრავდა ჩვენში, რომანტიკოს ქართველებში. მიზანი ერთი იყო, გაეგებინებინა ევროპის წამყვანი ქვეყნებისთვის საქართველოს გასაჭირი და მოეპოვებინათ საერთაშორისო მხარდაჭერა. ევროპას პოზიცია არ შეუცვლია საბას სტუმრობის შემდეგ „რაც შეიტანა, ისევე ის გამოიტანა“, საბამაც და საქართველოს მთავრობამაც. ეს გულგრილობა ევროპისა, ვფიქრობთ, დღესაც არ შეცვლილა, უხვად ვისმენთ „შეშფოთება“ – „აღშფოთებას“, თუმცა შედეგი აგვიანებს. დაავიანა მაშინაც და საქართველოს პრეზიდენტს სიკვდილი წამოეწია. ქვეყნის გადარჩენის მისია

დაუსრულებელი და ამით უსასრულო მოუსვენრობა საქართველოს მთავრობის მეორე თავმჯდომარეს ხვდა წილად.

„ქართლის ცხოვრება, ძვლებით ნახნავი,
მიჰყვება მსხვერპლი დაჩაგრულ ქვეყნის,
წლებს აჩეხილს წითელი ხმალით,“ -

დანერს ყიფიანი და გამოხატავს უდიდეს მონინებასა და პატივისცემას საქართველოს მიმართ უცხოეთის ცის ქვეშ. გაიხსენებს გმირებს, რომელთა სახელებიც სისხლითაა ამოტვიფრული ქვეყნის ისტორის ფურცლებზე.

„და ეგ საფლავიც გულშემზარავი,
გადახიზნული ბრძოლების ბინა,
ცრემლებში სძინავს დაკეცილ წლებს,
სიცოცხლეს ახშობს მსოფლიო ყინვა.“

პოეტის უკმაყოფილო ტონი აშკარაა, სადაა ამ დროს კაცობრიობა, სადაა სამართალი, როცა უსამართლობის მორევში იტანჯება ქართული მიწა, როცა მასზე ბოროტი ძალები დააბიჯებენ?! ყიფიანი სასონარკვეთილია და უცხო მიწას, რომელმაც არ იცის თანადგომა, აბარებს „ბედი ქართლისას სხეულს“, თუმცა აქვეა გაფრთხილება:

„დიდო ევროპავ ... ასე იცოდე,
არ არის ბერნი ქართული მიწა,
დატრიალდება ახალი ღერძი“

და საქართველო თავის დამსახურებულ თავისუფლებას მიიღებს, შეძლებს დაუმტკიცოს ცივ და გულგრილ სამყაროს თავისი ძლიერება. ახლა კი, სანამ ძალებს მოიკრებს, ემშვიდობება საქართველოს პრეზიდენტს, ანდერძის ზედმიწევნითი დაცვით.

„ბედი ქართლისას“ 22-ე ნომერში ვკითხულობთ სათაურს „ლ.ბ.“, ეს მხატვრული ტექსტია, ქვეშ ავტორი: გ. ყიფიანი, 1953 წელი, პარიზი. მკითხველი თამამად იტყვის, ლექსის მთავარი გმირი ქართველი, სასტიკი და მონობის უღელს მორგებული

ადამიანია. შეიძლება ითქვას, ზედმეტი ადამიანიც კი საქართველოს მადლისაგან. ადამიანი დიდი შესაძლებლობებითა და არასწორი ფასეულობებით. ძალიან სუსტი, სხვა შემთხვევაში, ვერ აფხსნით სიტყვებს:

„შორს გადასახლდი, როგორც ყაჩაღი,
საკუთარ თავის შენ შეგეშინდა.“

ავტორს არ ეშლება სწორად შეათვასოს მთავარი გმირის შესაძლებლობები და ეპითეტი „მკვლელობის მეფე“ ამ სიზუსტეს ეძღვნება. საქართველოს შური, ჩაქურ-ნამგალი - მკვლელობები, უცხო სისასტიკე, აგვისტოს ღამე... ნელ-ნელა სურათი იკვრება და მიდის ლოგიკური დასასრულისკენ.

„ ... , შორსა ხარ მარტო,
რუსის ხელებში გამომწყვდეული,
თბილისის ჰაერს ციხეში ნატრობ,
მტერი მტრისაგან კვლავ დაძლეული.“

ყველაფერი ნათელია, საქართველოს დამოკიდებულება პერსონაჟისადმი ემთხვევა ავტორისას. მარტივი გასაგებია, მთავარი გმირი ლაფრენტი ბერიაა. „სისხლი გვაქვს ერთი, ღმერთმა ეგ ბრძანა.“ ცხადია, ღმერთის სიტყვა მისაღებია და საყვედურს არ ექვემდებარება, თუმცა ამ სიტყვებში უკმაყოფილების ტონი იგრძნობა.

„საუბარი მარჩიელთან“ ასე ჰქვია ჟურნალის მე-15 ნომერში დაბეჭდილ ლექსს, რომელიც 1930-1965 წლის კრებულში შევიდა ამავე სათაურითა და ტექსტით. სათაურშივეა მინიშნება, რომ გმირი ლექსისა სასონარკვეთილია. ქართულ ცნობიერებაში მარჩიელები დიდი ნდობით არ სარგებლობდნენ, თუმცა უკანასკნელ მომენტებში იმედი სწორედ მათი სიტყვებიდან მოდიოდა. ქართულ ზღაპრებშიც გვხვდება მარჩიელი და წინასწარმეტყველი, მაგრამ მათ ერთმნიშვნელოვანი გააზრება არ ჰქონდა და არ აქვს. „წინასწარმეტყველი“ დადებითი შინაარსის სიტყვაა, ჩვენი რელიგიიდან გამომდინარე, „მარჩიელი“ კი მისი ანტონიმიც შეიძლება იყოს.

შემთხვევითი არაა, რომ ავტორმა საუბარი მოინდომა მარჩიელთან. მიმართვის ფორმაც ადასტურებს ამ აზრს:

„შემოგახევ მე მაგ ნილაბს,
მარჩიელო, გახსენ გული,
აჰა... ფული, როგორც საზრდო,
ყალბ „სიმართლის“ სიყვარული.“

პერსონაჟი მზადაა, ფულიც გადაიხადოს, ოღონდ გული დაიმშვიდოს და, ფიქრებისგან დაღლილმა, რაიმე სანუგეშო მოისმინოს. ამოტომ მოითხოვს სიმართლეს კუდიანისგან. მარჩიელის სიტყვები ლექსში ავტორის ფიქრების გაცხადებაა. რას უმზადებს ის საკუთარ თავს, როგორი მომავლის იმედი აქვს?

„იქ, წყლის გაღმა დამწვარია
სიყვარულის თეთრი ვარდი,
მძიმე დარდით მინა დადნა,
ყვავილთ კვნესა ცრემლებს იშრობს.“

აღსანიშნავია ბრჭყალებით გამოყოფილი სიტყვები ლექსში „იქ“ და „აქ“. ესაა მწერლის ბედისწერა, „იქ“ - საქართველოში და „აქ“ - უცხოეთში. (რუსუდან ნიშნიანიძე) ავტორს განაჩენიც გამოაქვს საკუთარი თავისთვის,

„თუ მოვკვდები, როგორც მწერი,
რა მექნება მე სანყენი,
უცხოეთის მძიმე ლოდზე იქნეს ჩემი წანანერიც.“

სიტყვების სიმძიმე და ტკივილი აშკარაა მკითხველისთვის, ავტორს ენანება საკუთარი თავი სამშობლოსგან მოშორებით უცხო ლოდის ქვეშ, უცხო მიწაში, უცრემლოდ, უჭირისუფლოდ, ესაა ის დიდი ტკივილი, რამაც მარჩიელთან, კუდიანთან საუბარი გადააწყვეტინა, მაგრამ ამ საუბარმა ნუგეში ვერ მისცა მის სულს. ის კვლავ დამძიმებულია ემიგრანტის უღლით და სიცოცხლის ბოლომდე უნდა ატაროს ეს ჯვარი,

მისი წილი გოლგოთა ესაა, ძვლებს უტოვებს უცხოეთს სულის მძევლად, თუმცა გამხმარ ხელზეც კი - გულისძგერა იგრძნობა მანამ, სანამ მშობლიურ მიწას არ შეხვდება იმიერი სამყაროდან მაინც.

ისტორიული, სამეცნიერო და ლიტერატურული კრებულის ფურცლებიდან ლექსები პოეტურ კრებულებში გადავიდა, სახეცვლილი, დამუშავებული, თუმცა ყიფიანის სათქმელი უცხოეთიდან არ შეცვლილა ფურცლიდან ფურცელზე. ექვსი პოეტური კრებული - ეს დიდი მემკვიდრეობაა, თუმცა კიდევ მეტი შეიძლებოდა ყოფილიყო. „ბედი ქართლისას“ კვლევამ ერთი პოეტური ტექსტი გვაპოვნინა. ტექსტი წიგნებს მიღმა. მე-18 ნომერი, გვერდი 19 და სათაური „ღამე საფლაღზე“, არც ერთ მის კრებულში არაა მსგავსი სათაური ან ტექსტი.

„ნეტავი, ვიყო მე თეთრი ჩონჩხი,
სადღაც ლოდის ქვეშ სასაფლაოზე,
რომ ამ სამყაროს უსიტყვო ქოხში,
ცას ვაბარებლე მიწის გამოცდებს“-

ასე მთავრდება ლექსი, ნატვრითა თუ დანანებით, ტკივილით, სევდით. ლექსის კითხვისას წარმოიდგენ ავტორის განცდებს და თვალწინ გიდგება ღამე, ვარსკვლავებით მოჭედული ცა, სავსე მთვარე შუქს ჰფენს არე-მარეს. სადღაც, კლდის პირზე, ციხე დარაჯობს გარემოს, დანგრეული, მაგრამ ცოცხალი, გარშემო სამარისებური სიჩუმეა, ამ სიმშვიდეს, უკუნს, დედამიწის ტრიალი ცვლის მზის მხარეს. ალბათ მალე გათენდება...

მოლოდინი ნათლისაკენ და არა ბნელისაკენ უკვე სასიამოვნო და იმედიანია. ყველას უცხოეთში და, განსაკუთრებით, გიორგი ყიფიანს აშინებს მარტოობა. მის პოეზიას ბოლომდე გასდევს მოუსვენრობა და ნატვრა სამშობლოში დაბრუნებისა. ემიგრაციაში გამოქვეყნებული ყველა კრებული ატარებს სევდას, დანანებასა და ბედისწერის დაუნდობლობას მისადმი, თუმცა გვირაბის ბოლოს მცირე, მაგრამ მაინც სინათლეა, იმედია, რომ საქართველო გადარჩება, რომ ჩვენი სამშობლო დაიბრუნებს

თავისუფლებას და მსოფლიოს დაუმტკიცებს ძლიერებას. ქართველ კაცს აღარ მოუწევს
შეეკედლოს უცხო მიწას.

დასკვნა

ლიტერატურული ტექსტი უდავოდ საგანძურია, რომელიც ერის კულტურას უსვამს ხაზს. ესაა დოკუმენტი, რომლითაც შეგიძლია იამაყო. ესაა ცოცხალი გარემო, რომელსაც აკვირდები, სწავლობ და ამჩნევ, თუ რამდენად დახვეწილია, ზუსტია, ემოციურია, ამაღელვებელია. პოეტურ კრებულებში ეს ემოციები უკეთესად იკითხება, „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე კი გაფანტულ მარგალიტებს ჰგავს, სადაც ემოცია უნდა შეაკონწიწო ნომრიდან ნომერში. ეს ნაშრომი საშუალებას გვაძლევს ერთ სივრცეში წარმოვიდგინოთ ორი ავტორის განვლილი გზა „ბედი ქართლისას“ ფურცლებიდან საკუთარ პოეტურ კრებულებამდე.

მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში თავისი კუთვნილი ადგილი აქვთ გიორგი ყიფიანსა და გიორგი გამყრელიძეს. მათი წიგნები ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთი პატარა ნაწილია, ემოციური, შთამბეჭდავი, პატრიოტული, სუბიექტური და ამ პოეტების ადგილის განსაზღვრისათვის თითოეულის შემოქმედების შესწავლაა აუცილებელი. მე-20 საუკუნის ქართულ ლიტერატურას, „ახალი რადიუსით მომართულსა“ და გამრავალფეროვნებულს, საინტერესო შინაარსს სძენს მსოფლიო კულტურის წიაღში აღმოცენებული ეროვნული პოეზია. ორივემ ლიტერატურული მოღვაწეობა საქართველოში დაიწყო, გიორგი გამყრელიძემ პოეტური კრებულები კი გამოსცა სამშობლოში. მართალია, ყიფიანმა პოეტურ წარმატებებს უცხოეთში მიაღწია, თუმცა მის შემოქმედებაში ეროვნული მოტივები, ეროვნული ენერგია, პატრიოტული სახეები მრავლადაა და შეიძლება თამამად ვთქვათ, ფრანგული ლიტერატურის წიაღში მან კარგად მოახერხა ეროვნული მოტივების ინტეგრაცია. პოეტური კრებულების სათაურებიც: „გვიანი რთველი“, „პოეზიის და სიცოცხლის ვაზი“ პოეტების შემოქმედების ეროვნული სახე-სიმბოლოებია.

აღსანიშნავია, რომ ფრანგ მკითხველს აინტერესებს ყიფიანის ფრანგულ ენაზე გამოცემული ლექსები, მან მოახერხა ქართული კულტურის, ტრადიციებისა და

ეროვნული ინტერესების გაცნობა ამ გარემოსთვის. საინტერესოა ამ ფრანგული ტექსტების კვლევა, რაც მომავლის საქმეა.

საზღვარგარეთ კალსტრატე და ნინო სალიები ემიგრანტ შემოქმედებს სათქმელის გამოხატვის საშუალებას აძლევდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ კრებულში ყველა პოეტს არ შეეძლო ლექსის დაბეჭდვა, აქ გამოქვეყნება დიდი სტიმული და წარმატება იყო უცხოეთში მოღვაწე ქართველებისათვის.

კრებული სამ მიმართულებას აერთიანებდა: ისტორიას, მეცნიერებასა და ლიტერატურას. ყველა სტატია, რომელიც დაიბეჭდა იყო მაღალმხატვრული და აკადემიური. რედაქტორების მაღალი ინტელექტისა და პროფესიონალიზმის დამსახურებით, „ბედი ქართლისა“ გახლდათ სერიოზული სიტყვა ქართულ ჟურნალისტიკაშიც. კრებულმა მსოფლიო აღიარება და დაინტერესება მოიპოვა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბელიაშვილი ა, „ამერიკაში პარიზზე გავლით“ თბილისი, ლიტერატურის მუზეუმი, 2015 წელი, გვ. 216
2. გამყრელიძე გ, „ლურჯი მონოკლი“ პარიზი, 1932 წელი, გვ.32
3. გამყრელიძე გ, „პაოლო იაშვილის ხსოვნას“, ბედი ქართლისა, 1952 წელი, N13, გვ. 9
4. გამყრელიძე გ, „ჩვენი მხარე“, „ბედი ქართლისა“, 1952 წელი, N13, გვ.9
5. გამყრელიძე გ, „გასვენება შემოდომით“, „ბედი ქართლისა“, 1953 წელი, N15, გვ. 23
6. გამყრელიძე გ, „გრიგოლ რობაქიძე“, „ბედი ქართლისა“, 1953 წელი, N14, გვ.20
7. გამყრელიძე გ, „სიზმრები“, „ბედი ქართლისა“, 1953 წელი, N14, გვ.20-21
8. გამყრელიძე გ, „დალი და დიანა“, „ბედი ქართლისა“, 1954 წელი, N17, გვ.20
9. გამყრელიძე გ, „მწუხრის ზარის დროს“, „ბედი ქართლისა“, 1954 წელი, N18, გვ.18-19
10. გამყრელიძე გ, „ძველი ბარათი“, ბედი ქართლისა, 1954 წელი, N18, გვ.18-19
11. გამყრელიძე გ, „ძველი სიმღერა“, ბედი ქართლისა, 1955 წელი, N19, გვ. 21
12. გამყრელიძე გ, „ზღაპარი ტფილისზე“, ბედი ქართლისა, 1955 წელი, N20 გვ. 1-2
13. გამყრელიძე გ, „საჩხერის ლამე“, ბედი ქართლისა, 1956 წელი, N21-22, გვ.42-43
14. გამყრელიძე გ, „ყველა სიმღერას მირჩევნია“, „ბედი ქართლისა“, 1956 წელი, N21-22, გვ.43
15. გამყრელიძე გ, „მოგზაურის ოცნება“, „ბედი ქართლისა“, 1958 წელი, N28, გვ.9-10
16. გამყრელიძე გ, „26 მაისი“, „ბედი ქართლისა“, 1958, N28, გვ.8
17. გამყრელიძე გ, „გვიანი რთველი“, სანტიაგო დე ჩილე, 1960 წელი, გვ. 154

18. გამყრელიძე გ, „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“
ვაშინგტონი, 1963 წელი, გვ.13
19. ნიკოლეიშვილი ა, „ქართული ემიგრანტული მწერლობა“ ქუთაისი, ქუთაისის უნ-
ტის გამ-ბა და სტ, 2006 წელი, გვ.600
20. ნიშნიანიძე რ, „XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ თბილისი,
„ლომისი“, 2000 წელი, გვ. 376
21. ნიშნიანიძე რ, „საქართველო სამანს აქეთ,“ თბილისი, „მერანი“, 2005 წელი, გვ.421
22. ნიშნიანიძე რ, „საქართველო სამანს იქით,“ თბილისი, „მერანი“, 2005 წელი, გვ.517
23. სალია კ, „მარიამ, საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“, „ბედი ქართლისა“,
1948 წელი, N3, გვ.22-27
24. სალია კ, „მარიამ დედოფლის გარდაცვალებიდან ასი წლის თავი“, „ბედი
ქართლისა“, 1950 წელი, N7, გვ.2-6
25. ყიფიანი გ, „მარიამ დედოფალი“, „ბედი ქართლისა“, 1950 წელი, N7, გვ.7
26. ყიფიანი გ, „განწირული მასპინძელი“, „ბედი ქართლისა“, 1950 წელი, N7, გვ. 15
27. ყიფიანი გ, „ღამე განთიადისკენ“, „ბედი ქართლისა“, 1950 წელი, N8, გვ.9
28. ყიფიანი გ, „გრიგოლ რობაქიძე“, „ბედი ქართლისა“, 1951 წელი, N9, გვ. 23
29. ყიფიანი გ, „გამთარი“, „ბედი ქართლისა“, 1951 წელი, N9, გვ.23
30. ყიფიანი გ, „რჩეული შაირების კრებული,“ პარიზი, 1951 წელი, გვ.164
31. ყიფიანი გ, „საუბარი მარჩიელთან“, „ბედი ქართლისა“, 1953 წელი, N15, გვ.22-23
32. ყიფიანი გ, „პრეზიდენტის დასაფლავება“, „ბედი ქართლისა“, 1953 წელი, N15,
გვ.21-22
33. ყიფიანი გ, „შემოდგომა“, „ბედი ქართლისა“, 1953 წელი, N14, გვ.21-22
34. ყიფიანი გ, „ევგენი გეგეჭკორს“, „ბედი ქართლისა“, 1954 წელი, N18, გვ.19
35. ყიფიანი გ, „ქუთაისი“, „ბედი ქართლისა“, 1954 წელი, N17, გვ.20-21
36. ყიფიანი გ, „ღამე საფლავზე“, „ბედი ქართლისა“, 1954 წელი, N18, გვ.19

37. ყიფიანი გ. „გაზაფხული“, „ბედი ქართლისა“, 1955 წელი, N19, გვ. 21-22
38. ყიფიანი გ. „დავით გურამიშვილს“, „ბედი ქართლისა“, 1956 წელი, N21-22, გვ. 43-44
39. ყიფიანი გ. „ლ.ბ.“, „ბედი ქართლისა“, 1956 წელი, N21-22, გვ. 44
40. ყიფიანი გ. „ლექსები“ პარიზი, 1930-1965 წელი, გვ. 278
41. ყიფიანი გ. „პოეზიისა და სიცოცხლის ვაზი“, პარიზი, 1965-1973 წელი, გვ.150
42. შარაძე გ. „ფრანგული დღიურები“, თბილისი, „ცოდნა“, 1990 წელი, გვ. 128
43. შარაძე გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“ თბილისი, „მერანი“, 1991 წელი, გვ. 605

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Faculty of Humanities

Master's programme: Georgian Literature

Ketevan Katamadze

The poetry of Giorgi Gamkrelidze and Giorgi Kipiani on the pages of
“Bedi Kartlisa” published in Paris

The work is represented for the Master degree of Georgian literature

Supervisor: Rusudan Nishnianidze

Doctor of philology, Tbilisi State University Associated Professor

Tbilisi

2019

Annotation

The presented work "The poetry of Giorgi Gamkrelidze and Giorgi Kipiani's poetry on the pages of "Bedi Kartlisa" published in Paris " has got the following purposes:

1. To study the historical, scientific and literary collection of "Bedi Kartlisa" literary part and outline the poetic texts.
2. To pick up the poetic heritage of Giorgi Gamkrelidze and Giorgi Kipiani.
3. To research the date of writing each poem, compare the poems printed in the books to the poetic texts included in the books and discuss the options on the comparative analysis.
4. To find out the texts remained outside the poetry collection and introduce them to the public.

The first chapter of the work includes the analysis of Giorgi Gamkrelidze's literary heritage, the history of each poem taken out from the pages of "Bedi Kartlisa": date of writing, in which poetry collection it was published, whether it has got any other options and whether it was included in the book.

The second chapter of the work discusses the works of Giorgi Kipiani according to the poems printed in "Bedi Kartlisa". Each poem is compared to the poems included in poet's poetry collections and some options are found, as well as the poetic texts remained out of the books.

A detailed research has shown that their work is considered in the context of the world literature. Their literary taste was refined in emigration.

This is one of the first scientific works in which the poetic part of the historical, scientific and literary collection "Bedi Kartlisa" has been studied. In particular, all the poetic texts of Giorgi Gamkrelidze and Giorgi Kipiani printed in "Bedi Kartlisa", their detailed analysis and the scientific criticism created so far.

The work has used the methods of descriptive research and comparative analysis.